აჭარა

გამოცემის 102-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№122 (25.002) სამშაბათი, 8 - 9 ნოემბერი, 2022 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო და შიდამთიან რაიონებში - 15-20, მთაში - 7-12 გრადუსი სითბო. ზღვის წყლის ტემპერატურა 18 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 764 მილიმეტრი.

ხვალ მოსალოდნელია წვიმა, მომდევნო 2 დღეს - უნალექო ამინდი.

პრემიერი გაეროს კლიმატის ცვლილების 27-ე კონფერენციაში მონაწილეობს

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი დელეგაციასთან ერთად, რომლის შემადგენლობაში არიან საგარეო საქმეთა მინისტრი ილია დარჩიაშვილი და მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი რევაზ ჯაველიძე, ვიზიტით ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკაში იმყოფება

მთავრობის მეთაურს საერთაშორისო აეროპორტში ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის საერთაშორისო თანამშრომლობის მინისტრი რანია ალ-მაშატი და ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკაში საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი, საქმეთა დროებითი რწმუნებული მიხეილ თიგიშვილი დახვდნენ.

მთავრობის მეთაური გაეროს კლიმატის ცვლილების 27-ე კონფერენციის მსოფლიო ლიდერთა სამიტში მონაწილეობს, რომელიც შარმ-ელ-შეიხში იმართება. იგი მსოფლიო ლიდერებთან ერთად იმსჯელებს ყველა იმ გამოწვევაზე, რომელიც ამ მიმართულებით გააჩნია დღეს მსოფლიოს. გათვალისწინებულია შეხვედრები მაღალი რანგის წარმომადგენლებთან მრგვალი მაგიდის ფორმატში. ირაკლი ღარიბაშვილი პლენარულ სესიაზე სიტყვით მიმართავს მსოფლიო ლიდერებს და კლიმატის ცვლილებებით განპირობებული გამოწვევების დაძლევის გზებზე გაამახვილებს ყურადღებას.

შარმ-ელ-შეიხის საერთაშორისო საკონფერენციო ცენტრში, სადაც კონფერენცია იმართება, საქართველოს პრემიერ-მინისტრს და სამიტის მონაწილე სახელმწიფოთა ლიდერებს ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტი აბდულ-ფათაჰ ალ-სისი და გაეროს გენერალური მდივანი ანტონიო გუტიერეში დახვდნენ.

ჰაერის მაღალი ტემპერატურა, ტყის ხანძრები, გვალვა და წყალდიდობა კლიმატის დათბობის შედეგად დედამიწაზე უფრო ინტენსიური ხდება. გასული 8 წელიწადი რეკორდულად ცხელი იყო. ამ ინფორმაციას გაერო ახალი კვლევაზე დაყრდნობით ავრცელებს, რომლის მიხედვით, მსოფლიო კლიმატის ღრმა კრიზისშია. კონფერენციაზე, რომელსაც 120 ქვეყნის მეთაური და მთავრობის წარმომადგენელი ესწრება, გაეროს გენერალურმა მდივანმა მსოფლიო ლიდერებს კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ საბრძოლველად ქმედითი ნაბიჯების გადადგმისკენ მოუწოდა. ანტონიო გუტიერეშის თქმით, მსოფლიოს სჭირდება ამბიციური ნაბიჯები, რათა უპასუხოს ჩვენი პლანეტის განგაშის სიგნალს. გუშინ, 5-წუთიანი გამოსვლების დროს, განვითარებული ქვეყნების მმართველებმა ისაუბრეს სათბური ემისიების შემცირებასა და განახლებად ენერგიაზე სწრაფად გადასვლაზე, ხოლო განვითარებად ქვეყნებს, რომლებიც კლიმატის ცვლილების მოწინავე რიგებში არიან, სურთ, რომ შესრულდეს დაპირებული ფინანსური ვალდებულებები.

გაიმართა შეხვედრა და საუბრები სასურსათო უსაფრთხოების თემატიკასთან დაკავშირებით. საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ისაუბრა იმ პრობლემებზე, რომელიც რეგიონული კუთხით არსებობს ამ მიმართულებით, ასევე, მათი გადაწყვეტის გზებზე. დღეს კი პრემიერ-მინისტრი დელეგაციის წევრებთან ერთად, მონაწილეობას მიიღებს ენერგეტიკაში ინვესტიციის საკითხებთან დაკავშირებით გამართულ მრგვალ მაგიდაში.

„ტრადიციულად საქართველო ყოველთვის წარმოდგენილია მაღალ დონეზე გაეროს კლიმატის ცვლილების კონფერენციაზე. წელსაც, დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს დელეგაციის მონაწილეობა იქნება კონკრეტული და ხელშესახები შედეგების მომტანი“, - განაცხადა საგარეო საქმეთა მინისტრმა ილია დარჩიაშვილმა.

ელენე საყვარელიძე

კრიალოსანი

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკაში, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ლიდერებთან ერთად, კლიმატის ცვლილების 27-ე კონფერენციაში მონაწილეობს. შარმ-ელ-შეიხში ირაკლი ღარიბაშვილი საგარეო საქმეთა მინისტრ ილია დარჩიაშვილთან ერთად იმყოფება. გამგზავრებამდე მთავრობის მეთაური სომეხ კოლეგას ტელეფონით ესაუბრა. ნიკოლ ფაშინიანმა ირაკლი ღარიბაშვილს მიაწოდა ინფორმაცია 31 ოქტომბერს, სოჭში გამართული სამმხრივი შეხვედრის შესახებ, რომელსაც სომხეთის, აზერბაიჯანისა და რუსეთის ლიდერები ესწრებოდნენ.

* * *

საქართველოს პრეზიდენტი ვიზიტით საფრანგეთში იმყოფება. პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინფორმაციით, ევროპის საბჭოში სალომე ზურაბიშვილს ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი მარია პეიჩინოვიჩ-ბურიჩი პირადად მასპინძლობს. გუშინ გაიმართა საქართველოს პრეზიდენტისა და გენერალური მდივნის პირისპირ შეხვედრა. მანამდე კი, საქართველოს პრეზიდენტმა მონაწილეობა მიიღო „დემოკრატიის მსოფლიო ფორუმში“, რომელიც ყოველწლიურად ევროპის საბჭოსა და საფრანგეთის მთავრობის პატრონაჟით ტარდება.

* * *

სხვადასხვა პოლიტიკურ ბანაკში გადარბენა-გადმორბენას რომ არაფერი მოაქვს, არაერთი შესაძლებლობა გვქონდა, ამაში დავრწმუნებულიყავით, - ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა ოპოზიციური სამეულის: გაშაძეხოშტარია-ჯაფარიძის გაერთიანებასთან დაკავშირებით განაცხადა. მისი თქმით, არაპატრიოტულ ძალებს ხალხის მხარდაჭერა არასოდეს ექნება. „ესეც მორიგი მცდელობაა. უბრალოდ, მცდელობაა ანტურაჟის შექმნის, რომ თითქოს, რაღაც ხდება მათ ფლანგზე, სინამდვილეში, საერთოდ არაფერი ხდება. ზუსტად იგივე ხდება, რაც ადრე იყო“, - აღნიშნა პაპუაშვილმა.

* * *

7 ნოემბერი ხელისუფლების მხრიდან ძალაუფლების გადამეტების, საკუთარი მოსახლეობის მიმართ ჩადენილი კრიმინალის კლასიკური მაგალითია, - ამის შესახებ პარტია „გირჩის“ ლიდერმა იაგო ხვიჩიამ განაცხადა. 2007 წლის 7 ნოემბერს სპეცდანიშნულების რაზმმა მომიტინგეების წინააღმდეგ ცრემლმდენი გაზი, ხელკეტები, რეზინის ტყვიები, აკუსტიკური იარაღი და წყლის ჭავლი გამოიყენა, საღამოს კი ტელეკომპანია „იმედში“ შეიჭრა და არხის მაუწყებლობა გათიშა. პოლიტიკური კრიზისის საპასუხოდ, მაშინდელმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები დანიშნა.

მოამზადა
ია შველიძემ

ბულვარში არსებულ გელა წულაძის საავტორო ქანდაკებებს რესტავრაცია ჩაუტარდა

2

«ემიგრაცია ადამიანს ართმევს ცხოვრების ლამაზ ფერებს»

5

გვექნება თუ არა პოლიტიკური მოზაიკა მომავალ არჩევნებზე?

3

«ნაპრალს თუ არ მიხედე, მალე ღრმა ხევად იქცევა»

6

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

ბსუ-ს ახალი კანცლერი ჰყავს

გუშინ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არჩევნები ჩატარდა

ამ თანამდებობას 2021 წლის 28 ივნისიდან ნიკა ჩხარტიშვილი იკავებდა, რომელმაც წარმომადგენლობით საბჭოს განცხადებით მიმართა დაკავებული ადმინისტრაციული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ. წარმომადგენლობითმა საბჭომ დააკმაყოფილა განცხადება, რის შედეგად აკადემიურმა საბჭომ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არჩევნები გამოაცხადა.

კენჭისყრაში მონაწილეობის მისაღებად საარჩევნო კომისიას რეგისტრაციისათვის ერთმა კანდიდატმა - მერაბ დიასამიძემ მიმართა. იგი ბსუ-ის სასწავლო პროცესის დეპარტამენტის ხელმძღვანელი და ტურიზმის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორია. ადმინისტრაციის ხელმძღვანელობის კანდიდატმა უნივერსიტეტის აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოებს სამოქმედო გეგმა წარუდგინა და დასმულ შეკითხვებს უპასუხა.

აკადემიურმა საბჭომ განიხილა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე მერაბ დიასამიძის კანდიდატურა და ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით (10 ხმით), დასამტკიცებლად წარმომადგენლობით საბჭოს წარუდგინა. ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით (16 ხმით) მასვე დაუჭირეს მხარი წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილების ვადა 4 წელია. იგი არის უნივერსიტეტის უმაღლესი ადმინისტრაციული მმართველი ფინანსური, მატერიალური და ადამიანური რესურსების სფეროში და წარმოადგენს უნივერსიტეტს საფინანსო-ეკონომიკურ ურთიერთობებში.

ანკა ჩხიკვაძე

აფხაზეთიდან დევნილებს სამედიცინო გამოკვლევები ჩაუტარდათ

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ორგანიზებით, დაბა ჩაქვსა და ბათუმის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს უფასო მრავალპროფილური სკრინინგული გამოკვლევები ჩაუტარდათ

აქციის ფარგლებში, 200-მდე აფხაზეთიდან დევნილს მოემსახურნენ საქართველოს წამყვანი კლინიკებისა და დევნილთა სამედიცინო დაწესებულებების ექიმ-სპეციალისტები. მათ კონსულტაციები გაუწიეს ოჯახის ექიმებმა, ოფთალმოლოგებმა, პედიატრებმა, კარდიოლოგებმა, ნევროლოგებმა, ენდოკრინოლოგებმა. აფხაზეთიდან დევნილებს ჩაუტარდათ სხვადასხვა სისტემის რადიოლოგიური კვლევა; ტესტირება COVID-19 -ის დიაგნოსტიკის მიზნით.

დევნილ ბენეფიციარებს დანიშნულების შესაბამისად საჭირო მედიკამენტები უსასყიდლოდ გადაეცათ, დაწყებითი კლასის მოსწავლეებს კი ჰიგიენური სასაჩუქრე ნაკრები გადასცეს.

ელენე საყვარელიძე

ბულვარში არსებულ გელა წულაძის საავტორო ქანდაკებებს რესტავრაცია ჩაუტარდა

„ყირამალა," „ვარიაციები სიყვარულზე" - ეს გელა წულაძის ბათუმის ბულვარში განთავსებული ის ქანდაკებებია, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა ტურისტებში და ახლახან რესტავრაცია ჩაუტარდა. რამდენიმე დაზიანებული სკულპტურა უკვე აღდგენილია

ბულვარის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ლაშა მიქელაძემ მოქანდაკე გელა წულაძესთან ერთად, რესტავრირებული სკულპტურები დაათვალიერა. მიმდინარე წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული საავტორო ქანდაკებების სარეაბილიტაციო სამუშაოების ფარგლებში, სრული რესტავრაცია ჩაუტარდა „სიყვარულის სერიად" წოდებულ საავტორო ქანდაკებებს, რომელიც თავად ავტორის უშუალო ჩართულობით და მონაწილეობით განხორციელდა. კერძოდ, სრულად განახლდა „ყირამალას" სკულპტურა ახალ ბულვარში, ასევე ძველ ბულვარში არსებულ საავტორო ქანდაკებებს დაუმონტაჟდა ახალი „გულის" ფიგურები განათების ახლებური გადაწყვეტით. ამასთან, ბულვარის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, ბულვარში გელა წულაძის ახალ ქანდაკებას - „სიყვარული მძიმეა" განათავსებენ.

„მოქანდაკე გელა წულაძე გახლავთ ბათუმის ბულვარში არსებული რამდენიმე საავტორო ქანდაკების ავტორი, რომლებიც ბულვარის სიმბოლო და ერთგვარი სავიზიტო ბარათია. გელა წულაძის „სიყვარულის სერიად" წოდებული რამდენიმე თანამედროვე სკულპტურა, როგორიცაა: „ვარიაცია სიყვარულზე 1"; „ვარიაცია სიყვარულზე 2"; „ვარიაცია სიყვარულზე 3"; „ყირამალა" უკვე ათწლეულზე მეტია ამშვენებს ბულვარის ზღვისპირა ზოლს და დიდ მოწონებას იმსახურებს ვიზიტიორებში. წლების განმავლობაში ზღვისპირა ნოტიო ჰავამ და გარემო პირობებმა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა მათ. შესაბამისად, მნიშვნელოვანი იყო ქანდაკებების რესტავრაცია. ამ მიმართულებით ვაგრძელებთ მუშაობას. მომავალში, ეტაპობრივად, დაგეგმილია კიდევ არაერთი ძეგლის აღდგენა-რესტავრაცია.

ახალი ქანდაკება „სიყვარული მძიმეა" ზემოაღნიშნული ნამუშევრების ერთგვარი გაგრძელება იქნება. მისი განთავსება კიდევ უფრო გაამდიდრებს არსებულ ქანდაკებათა ანსამბლს და შექმნის ბათუმის ბულვარის ვიზიტიორებისთვის ღირსშესანიშნავ სანახაობრივ ატრაქციას," - განაცხადა ლაშა მიქელაძემ.

ანკა ჩხიკვაძე

მუზეუმის კუთვნილება ხდება

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა რეზო ჯაბნიძემ გადაწყვიტა ქობულეთის მუზეუმს საჩუქრად გადასცეს ანტიკვარული და ძვირად ღირებული, მისი წინაპრებისა და სხვა გამოჩენილი ადამიანების სამუზეუმო მნიშვნელობის მქონე ნივთები (მასალები). ამისთვის მას მუზეუმის თანამშრომლები ოჯახში ეწვივნენ

- ჩვენი მუზეუმის დიდი მეგობრისა და ქომაგის, ბატონ რეზო ჯაბნიძის რჩევითა და რეკომენდაციით, ქობულეთის მუზეუმში შეიქმნება რეგიონის გამოჩენილი ადამიანებისა და მეცნიერების მოღვაწეთა მემორიალურ-სახელობითი ფონდი. პირველი საკოლექციო მასალების ფონდისათვის გადმოცემას უხელმძღვანელებს ბატონი რეზო.

საფონდო მასალებში შედის ჩვენი სახელოვანი თანამემამულის, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის, აკადემიკოს მამია გოგოლიშვილის, ჩინელი ჩაის სპეციალისტის ლაო ჯინ ჯაოს ნაქონი, 1865 წელს დამზადებული ჩაის საწონი სასწორი. მის გატანას აპირებდნენ საზღვარგარეთ და ბატონმა მამიამ შეიძინა. სულ მალე ეს ანტიკვარული ნივთი ჩვენს მუზეუმში საპატიო ადგილს დაიჭერს. ასევე გადმოგვეცა ასობით წიგნი, სახელმძღვანელო, პერიოდული პრესა და სხვა მემორიალური ნივთები (დიპლომები, სიგელები), საბჭოთა და დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიის ამსახველი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტები, - გვითხრეს მუზეუმის თანამშრომლებმა.

ყაზახური ქვანახშირის რუსეთიდან ტრანსპორტირება შეწყდება

„ვედომოსტის" მიერ გავრცელებული ინფორმაციით რუსეთის ენერგეტიკის სამინისტრო ყაზახეთიდან რუსეთის გავლით ქვანახშირის ტრანსპორტირებას აკრძალავს.

გამოცემის ცნობით, ინიციატივა ოქტომბრის შუა რიცხვებისთვის მომზადდა, როცა რუსული ქვანახშირის ექსპორტის განვითარებისთვის ფედერაციის ვიცე-პრემიერ ალექსანდრ ნოვაკთან შეხვედრა გაიმართა.

პროექტის თანახმად, ენერგეტიკის სამინისტრომ რუსეთის რკინიგზის აღმოსავლეთ პოლიგონზე, ანუ ბაიკალ-ამურისა და „ტრანსსიმბირის" რკინიგზასთან ქვანახშირის მწარმოებელი რეგიონების თანაბარი წვდომა უნდა უზრუნველყოს, ამიტომ ქვანახშირის ტრანზიტი მესამე ქვეყნებიდან, მათ შორის ყაზახეთიდან, უნდა აიკრძალოს.

ასევე, რუსი ექსპორტიორების მხარდასაჭერად სამინისტრო გამოდის წინადადებით, „სარკინიგზო ინფრასტრუქტურის სატრანსპორტო სიმძლავრის განაწილების დროს რეგიონების პრიორიტეტიზაცია" გამოირიცხოს და მესამე ქვეყნებიდან ქვანახშირის ტრანზიტი დროებით აიკრძალოს.

„ამით უზრუნველყოფილი იქნება რუსული პროდუქციის ტრანსპორტირებისა და პორტებში გადაზიდვის უპირატესობა", - ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში.

იხ. მე-5 გვ.

ამბები

შაბათ-კვირის ქრონიკა

ერთწლიანი პაუზის შემდეგ, ქობულეთის „შუქურა" ეროვნულ ლიგაში დაბრუნდა. რევაზ გოცირიძის გაწვრთნილმა გუნდმა ეს ჩემპიონატის დასრულებამდე 3 ტურით ადრე მოახერხა. ეროვნული ლიგა 2-ის 29-ე ტურის შეხვედრაში „შუქურამ" გასვლაზე თბილისში „სპაერთან" ფრედ 0:0 ითამაშა. ქობულეთური გუნდი ამ დროისთვის 54 ქულას აგროვებს და მეორე ადგილზე მყოფ „სპაერს" 12 ქულით უსწრებს. მომდევნო ტურში „შუქურა" 13 ნოემბერს „სამტრედიას" უმასპინძლებს.

* * *

ბათუმში ფოტოგამოფენა გაიხსნა, რომელშიც ამიერკავკასიაში მოღვაწე ფოტოგრაფები მონაწილეობდნენ. ღონისძიებაზე მხოლოდ ქართველი და აზერბაიჯანელი ფოტოგრაფების 300-მდე ნამუშევარი იყო წარმოდგენილი. ღონისძიება 11 ივლისს თბილისში გახსნილი ფოტოგამოფენის გაგრძელება იყო.

* * *

მამაპაპისეული მიწების დასაბრუნებლად ერთ წელზე მეტია პროტესტის სხვადასხვა ფორმას მიმართავენ ბობოყვათში მცხოვრებლები. ისინი ქობულეთის სასამართლოსთან შეიკრიბნენ და მშვიდობიანი აქცია გამართეს. მოქალაქეები აცხადებენ, რომ ინვესტორს, რომელმაც არსებული მიწის ფართობი მათი თანხმობის გარეშე შეიძინა, მშენებლობის დაწყების შესაძლებლობას არ მისცემენ და სამართლის აღსადგენად ბრძოლას გააგრძელებენ.

* * *

საქართველოს ეროვნული ლიგის 33-ე ტურის შეხვედრაში „დინამო" ბათუმმა გასვლაზე თელავი 0:2 დაამარცხა. პირველი ნახევარი მნიშვნელოვანი საგოლე ეპიზოდების გარეშე დასრულდა. 70-ე წუთზე სანდრო ალთუნაშვილმა ბურთი საჯარიმოში მყოფ პაატა ღუდუშაურს მიაწოდა, რომელმაც ზუსტი დარტყმით თელაველების კარი აიღო და მატჩში ანგარიში გახსნა. 5 წუთში ჯოვინოს მიერ გატანილი გოლით ანგარიში 0:2 დაფიქსირდა. შედეგად, ბათუმელები სატურნირო ცხრილში 73 ქულით პირველ ადგილზე გადავიდნენ.

* * *

ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრში პიროვნული განვითარების შესახებ ტრენინგი ჩატარდა. მოეწყო გუნდური და ინდივიდუალური, პრაქტიკული აქტივობები. საინფორმაციო შეხვედრას ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის ფსიქოლოგი ქეთი დევაძე წარუძღვა. საინფორმაციო ტრენინგს ფსიქოლოგთან ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 55 ახალგაზრდა დაესწრო.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

გვექნება თუ არა პოლიტიკური მოზაიკა მომავალ არჩევნებზე?

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

არასახარბიელო ეკონომიკური მდგომარეობა, პოლარიზებული პოლიტიკური გარემო, ოკუპირებული ტერიტორიები, მცოცავი ოკუპაცია, დასავლეთის არათანმიმდევრულობა რუსულ აგრესიაზე რეაქციის მიმართულებით - ეს ნაწილია იმ გამოწვევებისა, რომლებიც ქართული სახელმწიფოს წინაშე. ბოლო ხანებში საზოგადოებას აღელვებს ეს კითხვები: რა ხდება ოპოზიციის ფლანგზე და მოსალოდნელია თუ არა მძლავრი ოპოზიციური ბლოკის ჩამოყალიბება? ამ საკითხების გადაწყვეტა-არგადაწყვეტაზეა გარკვეულწილად დამოკიდებული ქართული სახელმწიფოს ბედ-იღბალი. ეს რეალობაა და რეალობაა ისიც, რომ ამ მიმართებით ჩვენი ქვეყანა გამოწვევების წინაშეა, რასაც ქართული პოლიტიკური სპექტრი სათანადოდ ვერ უმკლავდება...

ორი წელი დარჩა საპარლამენტო არჩევნებამდე, დღითი დღე მძაფრდება საზოგადოების განწყობა ამ მნიშვნელოვანი მოვლენისადმი, ქვეყანაში განვითარებული ბოლოდროინდელი პროცესები სწორედ არჩევნების ჩატარების სისტემას უკავშირდება. როგორც ცნობილია, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნები პროპორციული სისტემით ჩატარდება, თუმცა საარჩევნო ბარიერი 5-პროცენტიანი იქნება, რაც პატარა პარტიებს გაურთულებს პარლამენტში მოხვედრას, ამიტომაც ექსპერტები აცხადებენ, მომავალი არჩევნები რომ არ დაემსგავსოს ორპოლუსიანი პოლიტიკური (მმართველი პარტია და „ნაცმოძრაობა“) ძალის ორთაბრძოლას, ოპოზიცია უნდა გაერთიანდეს საარჩევნო ბლოკად. აბსოლუტუ-

> **„ეს ათი (2012- 2022) წელი „ნაცმოძრაობამ“ როგორღაც შეინარჩუნა პარტიის სახე, მიუხედავად იმისა, რომ მისი რიგები არაერთმა წევრმა დატოვა. სააშკარაოზე არ გამოჰქონდა შიდა სამზარეულო, მაგრამ ყველაფერი შეცვალა სააკაშვილის დაპატიმრებამ და ასევე პარლამენტში შესვლამ... მათ ვერც ექსპრეზიდენტი დაიხსნეს საპატიმროდან და ვერც მძლავრი საპროტესტო აქციები ააგორეს, რამაც მათ მომხრეებში უკმაყოფილება გამოიწვია**

რად ყველა თანხმდება, რომ ქართული პოლიტიკის განახლებაა საჭირო, ქვეყანას ახალი სახეები სჭირდება, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, მესამე პოლიტიკური ძალა, რომელიც კონკურენციას გაუწევს მმართველ პარტიას და „ნაცმოძრაობას“. განვლილმა საპარლამენტო არჩევნებმა ცხადყო, რომ ქვეყანა ახალ ძალას მოითხოვს. საარჩევნო უბნებზე ხმის უფლების მქონე მოსახლეობის დაახლოებით 55 პროცენტი არ მივიდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ხალხს მობეზრდა არჩევანის გაკეთება ორ ძალას შორის და ეს თითქმის 30 წელი გრძელდება... ამ დრომდე გამართულ არჩევნებში ძირითადი ბრძოლა ორ ძალას შორის მიმდინარეობდა... და აქ ჩნდება კითხვა: 2024 წლის არჩევნებიც ორპოლუსიანი იქნება თუ ჰორიზონტზე მესამე ძალა გამოჩნდება? ახალს არაფერს ვიტყვი, თუ აღვნიშნავ, რომ არც მმართველი პარტია და არც „ნაცმოძრაობა“ არ არიან დაინტერესებულნი, რომ ქვეყანაში შეიქმნას მესამე პოლიტიკური ძალა, რომელიც კონკურენციას გაუწევს მათ და ეს გასაგებია, მაგრამ გაუგებარია, რატომ არ ცდილობენ პროდასავლური ძალები მძლავრი კოალიციური ბლოკის ჩამოყალიბებას, რათა მიუმხრობელმა ამომრჩეველმა მათზე გააკეთოს არჩევანი? ამის ერთ-ერთი მიზეზი პოლიტელიტის განახლებაა, რაც ყველაზე სერიოზული პრობლემაა საქართველოში და მას ხელს უწყობს საკმაოდ ბევრი საშინაო და საგარეო ფაქტორი.

აღსანიშნავია, რომ ამ მხრივ ხელისუფლებას არ გააჩნია ჯანსაღი კლიმატისთვის აუცილებელი პოლიტიკური ნება, არც საზოგადოებაშია შესაბამისი მზაობა და პოლიტიკური კულტურა. არადა, ჯანსაღი პოლიტიკური გარემო გულისხმობს შესაბამისი ოპოზიციური ფლანგის არსებობას, რომელიც ამავდროულად ოპონირებას გაუწევს ხელისუფლებას სახელმწიფოს მართვის პროცესში. ამ კუთხით გადავავლოთ თვალი საქართველოს რეალობას. თითქმის 28 წელია, პოლიტიკური სახეები არ შეცვლილა, არ ხდება პოლიტიკური პარტიების განახლება ახალი კადრებით. ზოგიერთი ლიდერი პარტიის ლიდერობას ვერ ელევა, რაც ქართულ პოლიტიკას აჭაობებს. ამასთან, არსებობენ, პოლიტიკური ძალები, რომლებიც პრეტენზიას მესამე ძალად ჩამოყალიბებაზე აცხადებენ, მაგალითად, „სტრატეგია აღმაშენებელი“, „გირჩი - მეტი თავისუფლება“ და „დროა“. ამას წინათ სწორედ ამ პარტიებმა გააკეთეს განაცხადი ახალი ერთიანი ბლოკის ჩამოყალიბების თაობაზე. მათი თქმით, ეს ბლოკი მიზიდულობის ახალი ცენტრი იქნება. ლიდერები გასულ კვირას დასავლეთში იყვნენ და როგორც მათ აღნიშნეს, მნიშვნელოვანი შეხვედრები გამართეს დასავლელ ანალიტიკოსებთან და პოლიტიკოსებთან. ჯერჯერობით ამ ახალ ალიანსთან გაერთიანებას არ აპირებენ სხვა პარტიები. მეტიც - მათკენ წამოვიდა მძაფრი და შეურაცხმყოფელი შეფასებების ნაკადი: „ჯაფარიძე და ვაშაძე უნიჭოები არიან, დიდად ჭკუით არც ხოშტარია გამოირჩევა“ - ამბობს, პარლამენტარი ვახო მეგრელიშვილი. ამ უკანასკნელს ხელისუფლების სატელიტად მოიხსენიებენ. „ლეიბორისტული პარტია“ ყოველგვარ ალიანსში გაწევრიანებას გამორიცხავს, ეს მის წევრებს არაერთხელ აღუნიშნავთ, მაგრამ განვლილმა არჩევნებმა ცხადყო, რომ ცალკე „ლეიბორისტებს“ გაუჭირდებათ 5-პროცენტიანი საარჩევნო ბარიერის გადალახვა, თუმცა „ლეიბორისტული პარტია“ ჯიუტად აპირებს არჩევნებში ცალკე მონაწილეობას, იგი არ ენდობა ზემოაღნიშნულ პარტიებს. განსაკუთრებით „ნაცმოძრაობას“, რომელმაც ლეიბორისტების თქმით, დაარღვიეს პირობა პარლამენტში არშესვლასთან დაკავშირებით და ამით გაუხანგრძლივეს მმართველობა არსებულ ხელისუფლებას. „ვეკითხები საპარლამენტო ოპოზიციას, როდის დატოვებთ პარლამენტს? თუ საპარლამენტო ოპოზიცია არ დატოვებს საკანონმდებლო ორგანოს, მაშინ ისინი ხელისუფლებასთან შეკრულები იქნებიან და ქვეყნის არასახარბიელო მდგომარეობის გამო პასუხისმგებლობა მათაც დაეკისრებათ“, - განაცხადა ნათელაშვილმა. სხვათა შორის „ნაცმოძრაობა“ და პარლამენტი დატოვა ერთ-ერთმა ლიდერმა ნონა მამულაშვილმა. „მეათე პარლამენტი ყველაზე სამარცხვინო პარლამენტია დამოუკიდებლობის ისტორიაში. რაც შეეხება „ნაცმოძრაობას“, პარტია დიდი ხანია დაიცალა პოლიტიკისგან“, - განაცხადა მან პარტიიდან გასვლისას.

ჯერჯერობით საკანონმდებლო ორგანოს დატოვებას არ აპირებს „ლელო საქართველოსთვის“. ამ პარტიის ლიდერი სალომე სამადაშვილი ამბობს, რომ მისი პარტია პარლამენტს მაშინ დატოვებს, როცა ამის დრო მოვა, ნათელაშვილის და ბოკერიას განცხადებები კი ამ მხრივ უადგილოა. სხვათა შორის, „ევროპული საქართველოს“ ლიდერი გიგა ბოკერია ბოლო დროს თავს ხშირად ესხმის „ნაცმოძრაობას“ არასწორი პოლიტიკის გამო მკაცრად აკრიტიკებს. „ნაცმოძრაობას“ კრიტიკა არც სხვა პარტიებისგან აკლია, რაც მის შიგნით შექმნილი არაჯანსაღი ვითარების გამოძახილია. ამ მიმართებით დღეს ხშირად საუბრობენ იმაზე, თუ რა ბედი ელის „ნაცმოძრაობას“, ხომ არ დაიშლება და ზოგადად, რას წარმოადგენს ოპოზიცია? ეს ათი (2012- 2022) წელი „ნაცმოძრაობამ“ როგორღაც შეინარჩუნა პარტიის სახე, მიუხედავად იმისა, რომ მისი რიგები არაერთმა წევრმა დატოვა. სააშკარაოზე არ გამოჰქონდა შიდა სამზარეულო, მაგრამ ყველაფერი შეცვალა სააკაშვილის დაპატიმრებამ და ასევე პარლამენტში შესვლამ... მათ ვერც ექსპრეზიდენტი დაიხსნეს საპატიმროდან და ვერც მძლავრი საპროტესტო აქციები ააგორეს, რამაც მათ მომხრეებში უკმაყოფილება გამოიწვია. ალაპარაკდნენ, რომ მელიამ ვერ გაამართლა პარტიის იმედები, თუმცა ეს უკანასკნელი ამბობს, რომ პარტიის შიგნით ჯანსაღი პროცესი მიმდინარეობს და უახლოეს მომავალში საზოგადოებას მნიშვნელოვან გეგმებს შესთავაზებს ხელისუფლების ცვლილებასთან დაკავშირებით. ისიც უდავოა, რომ სააკაშვილი არ აკეთებს კომენტარს ქვეყანაში განვითარებული მოვლენების შესახებ და თუ საარჩევნოდ „ნაცმოძრაობა“ ვერ დაიხსნის მას ციხიდან, გაუჭირდებათ არჩევნებში მნიშვნელოვანი შედეგის ჩვენება. ისინი, როგორც ჩანს, ვერ აცნობიერებენ და ამიტომ ურჩევენ ექსპერტები „ნაციონალურ მოძრაობას“ გაერთიანებას სხვადასხვა პარტიასთან, თუნდაც ახლახან ჩამოყალიბებულ („სტრატეგია აღმაშენებელი“, „გირჩი - მეტი თავისუფლება“, „დროა“) ალიანსთან, რათა ოპოზიციური ამომრჩევლის ხმა არ დაიკარგოს. თუმცა „ნაცმოძრაობა“ მაინც არავისთან აპირებს გაერთიანებას, რაც ამას წინათ ხატია დეკანოიძემ აღნიშნა. მისი თქმით, ჯერ არჩევნებია მოსაპოვებელი, ალბათ რიგგარეშე არჩევნებს გულისხმობდა, მაგრამ ნაადრევი არჩევნების ჩატარებას მთავრობა არ აპირებს. ახლა რომც ჩატარდეს არჩევნები, ოპოზიციური სპექტრი ფიასკოს განიცდის, ამას ექსპერტებიც ხაზს უსვამენ და ოპოზიციას ხალხთან გასვლას ურჩევენ. დაიშლება თუ სფინქსივით აღდგება ყოფილი მმართველი პარტია? ამის შესახებ პოლიტიკოსებს განსხვავებული შეხედულებები აქვთ. მაგალითად, მმართველი გუნდის ერთ-ერთი ლიდერი ირაკლი კობახიძე „ნაცმოძრაობას“ არჩევნებში ფიასკოს უწინასწარმეტყველებს... პოლიტოლოგი ხათუნა ლაგაზიძე პირდაპირ აცხადებს: „ყველაზე კმაყოფილი ხელისუფლება იქნება, რადგან დანაწევრებული პოლიტიკური ბაზარი მისი კონკურენტი ვერ გახდება“. თავის მხრივ „ნაცმოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი ნუგზარ წიკლაური ხაზგასმით აცხადებს, რომ პარტიაში საგანგაშო არაფერი ხდება, ზოგი მიდის, ზოგი მოდის და ეს პოლიტიკური ცხოვრების თანმდევი მოვლენაა. „ჩვენმა პარტიამ უკვე გაუძლო ამ ხელისუფლების რეპრესიებს და არ დაშლილა, უფრო მეტიც, მხოლოდ ჩვენს გუნდს შეუძლია, ქვეყანა ეკონომიკური და პოლიტიკური კოლაფსიდან ამოიყვანოს“, - დასძენს წიკლაური. მოსწონს ვინმეს თუ არა, უნდა ვაღიაროთ, რომ ჯერჯერობით „ნაცმოძრაობა“ მთავარი ოპოზიციური ძალაა ქვეყანაში. ბოლოსდაბოლოს 600 ათასი ამომრჩევლის ხმა საკმაოდ ანგარიშგასაწევია. მოსახლეობა სხვა ოპოზიციურ ძალებს არასერიოზულად აღიქვამს, ამასთან, ყოფილ მმართველ პარტიას იდეის (დასავლური კურსის უალტერნატივობა, ლიბერალიზმი და ა. შ.) გამო აძლევენ ხმას და არა მერკანტინული მიზნით... ამ მხრივ ჯერჯერობით სხვა გავლენიანი პროდასავლური ძალა არ ჩანს ქვეყანაში, თუმცა, როგორც ვთქვით, უკვე შეიქმნა სამთა ალიანსი... ექსპერტთა უმრავლესობისთვის მძლავრი პროდასავლური გაერთიანების ჩამოყალიბება მისაღებია, რადგან ასეთ შემთხვევაში მოსახლეობას აღარ დასჭირდება არჩევანის გაკეთება ოპოზიციურ პარტიებს შორის. ამუამად მოსახლეობის ერთი ნაწილი „ნაციონალური მოძრაობის“ მომხრეა, მეორე - „სტრატეგია აღმაშენებელს“ თვლის მთავარ ოპოზიციურ ძალად, ზოგიც - „ლელო საქართველოსთვის“, ზოგს ყველა ეს პარტია ხიბლავს... ჯერჯერობით ოპოზიცია დაქსაქსულია და ურთიერთდაპირისპირებულია, მმართველი პარტია კმაყოფილია ოპოზიციის უუნარობით. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის არასახარბიელო ეკონომიკური მდგომარეობა ოპოზიციის წისქვილზე ასხამს წყალს, ხელისუფლება აკონტროლებს სიტუაციას ქვეყანაში. მთავარი მაინც ისაა, როგორი პოლიტიკური მოზაიკა იქნება ამ მიმართებით 2024 წლის შემოდგომაზე, როცა საპარლამენტო არჩევნები გაიმართება. ეს მეტწილად დამოკიდებული იქნება ევროკომისიის ვერდიქტზე - ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსს მიანიჭებს თუ არა საქართველოს. სწორედ ეს (და ასევე დასავლეთის პოზიცია ხელისუფლებასთან მიმართებით) ფაქტორი განაპირობებს მმართველი გუნდის შანსს საარჩევნოდ, ურომლისოდაც საქართველო არა მხოლოდ დაემშვიდობება ევროპულ პერსპექტივას, არამედ მოექცევა რუსეთის გავლენის სფეროში, რაც საქართველოს სახელმწიფოებრიობისთვის სავალალო იქნება.

უცხოეთი

8 ნოემბერს აშშ-ის კონგრესის შუალედურ არჩევნებზე მისული ამერიკელები გადაწყვეტენ, დარჩება ორივე პალატის კონტროლი „დემოკრატების“ ხელში, თუ სენატის და წარმომადგენელთა პალატის, ან რომელიმეს კონტროლის უფლებას „რესპუბლიკელები“ მოიპოვებენ. გამოკითხვები აჩვენებს, რომ „დემოკრატები“, სავარაუდოდ, წარმომადგენელთა პალატაში უმრავლესობას დაკარგავენ. არსებული მონაცემებით, არჩევნებში წინასწარი ხმის მიცემის უფლებით 40 მილიონზე მეტმა ადამიანმა ისარგებლა. „დემოკრატებს“ სურთ, ამერიკა კომუნისტურ კუბად ან სოციალისტურ ვენესუელად გადააქციონ, - განაცხადა ამ დღეებში აშშ-ის ყოფილმა პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა მაიამიში ამომრჩეველთან წინასაარჩევნო შეხვედრისას და მიანიშნა, რომ შესაძლოა, საპრეზიდენტო არჩევნებში თავისი კანდიდატურა დააყენოს.

* * *

„არა ომს. არა იარაღის გაგზავნას“, - ამ ლოზუნგებით ათიათასობით იტალიელმა რომში მსვლელობა გამართა. სააგენტო „ფრანს-პრესის“ ცნობით, აქციის მონაწილეები უკრაინაში მშვიდობის დამყარების მოწოდებით გამოვიდნენ. მათ იტალიის მთავრობას მოუწოდეს, შეწყვიტონ უკრაინისთვის რუსეთის შეჭრის წინააღმდეგ საბრძოლველად იარაღის გაგზავნა. „მიეცით მშვიდობას შანსი“, „შეხედეთ ფაქტებს: იარაღის გაგზავნა არ უწყობს ხელს ომის შეჩერებას, იარაღი ხელს უწყობს ომის გამწვავებას“, - აცხადებდნენ აქციის მონაწილეები. ცნობისთვის, იტალია უკრაინას ომის დაწყებიდანვე უჭერს მხარს, მათ შორის, იარაღის მიწოდების კუთხით. ახალმა ულტრამემარჯვენე პრემიერ-მინისტრმა ჯორჯია მელონმა განაცხადა, რომ მალე ოფიციალური რომი კიევს მეტ იარაღს გაუგზავნის.

* * *

სერბეთის პრეზიდენტ ალექსანდრ ვუჩიჩის მონაწილეობით მინისტრთა კაბინეტის საგანგებო სესია გაიმართა, რომლის შემდეგაც ცნობილი გახდა, რომ სერბების წარმომადგენლები კოსოვოს ყველა ინსტიტუტს ტოვებენ: პარლამენტს, მთავრობას, სასამართლოს, პოლიციას და ოთხ ოლქში ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს. სერბები ასეთი ფორმით აპროტესტებენ კოსოვოს ხელისუფლების გადაწყვეტილებას, რომლის თანახმადაც, 1-ლი ნოემბრიდან კოსოვოს ყველა მოქალაქემ ავტომობილებისთვის გაცემული იმ დროინდელი სანომრე ნიშნები, როცა კოსოვო ჯერ კიდევ სერბეთის ნაწილი იყო, კოსოვურით უნდა შეცვალოს.

* * *

მოლდოვის დედაქალაქში მთავრობის საწინააღმდეგო აქციაზე 50-მდე ადამიანი დააკავეს. აქციის ორგანიზატორი იყო ოპოზიციური პარტია „შორის“. მოქალაქეებმა პრეზიდენტ მაია სანდუს გადადგომა, პარლამენტის დაშლა და ვადამდელი არჩევნების ჩატარება მოითხოვეს. მოლდოვის ხელისუფლება აცხადებს, რომ აქციები პროროუსული ძალების მიერ არის ორგანიზებული და მიზნად ისახავს ქვეყანაში ვითარების დესტაბილიზაციას. საპროტესტო აქციები მოლდოვაში, სადაც რუსეთ-უკრაინის ომის გამო საგანგებო მდგომარეობა მოქმედებს, 19 სექტემბრიდან ყოველკვირეულად იმართება.

მოამზადა
ია შველიძემ

„ახალ თაობას წინსვლის და განვითარების საშუალება უნდა მივცეთ“

დარინა ბაბაიძე 27 48 93

ნუგზარ სურმანიძე 15 წელია, ბათუმის №9 საჯარო სკოლის დირექტორია და წარმატებით ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას. ამ სკოლის ხელმძღვანელად პირველად 2007 წელს აირჩიეს. ამბობს, რომ დირექტორმა კაბინეტიდან არ უნდა მართოს სასწავლო პროცესი და ყოველთვის იქ უნდა იყოს, სადაც მოსწავლეა. №9 სკოლა ერთ-ერთია იმ 42 საგანმანათლებლო დაწესებულებიდან, რომელსაც აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაფინანსებით, წელს რეაბილიტაცია ჩაუტარდა. სკოლაში შეიცვალა კარ-ფანჯარა, გაკეთდა 3 პანდუსი და მონტაჟდება ლიფტი. ნუგზარ სურმანიძე ამბობს, რომ მაქსიმალურად ცდილობს, სასწავლო პროცესი სკოლაში ყველა მოსწავლისთვის ერთნაირად ხელმისაწვდომი იყოს

- ჩვენი სკოლა 980 მოსწავლეზეა გათვლილი, თუმცა ამჟამად 2080 მოსწავლე გვყავს, რის გამოც ჩვენთან სწავლა ორცვლიანია. დამატებითი ოთახებიც ავითვისეთ. დაგეგმილია და გაზაფხულიდან გვპირდებიან პროექტის გაკეთებას და ცალკე 3-სართულიანი შენობის აგებას.

- სასწავლო პროცესის გარდა, მოსწავლეები სხვა აქტივობებში თუ არიან ჩართული?

- რა თქმა უნდა, ჩართული არიან, და არა მარტო სკოლაში, არამედ არასამთავრობო ორგანიზაციებში, დემოკრატიის ინსტიტუტში, სამოქალაქო განათლების კლუბებში. სკოლაში ძალიან კარგად მოქმედებს თვითმმართველობა. მისი არჩევნებიც ჩამატარებინეს მოსწავლეებმა. პროექტით იმყოფებოდნენ ამერიკაში, სადაც ამჟამად ჩვენი სკოლის ერთი მეათეკლასელი მოსწავლეა წასული. ის იქ მე-11 კლასში სწავლობს და გაისად დაგვიბრუნდება. თვითმმართველობა ატარებს კონფერენციებს, ღონისძიებებს გაწერილი გეგმის შესაბამისად. ხშირად იტყვიან თანამედროვე ახალგაზრდობაზე საყვედურს, არადა, ვამბობ, რომ ჩვენს თაობას სჯობია, ისე მსჯელობს დღევანდელი თაობა. მოსწავლეების ორგანიზებით საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება ჩატარდა. მათივე ინიციატივით ტარდება სკოლაში ინტელექტუალური თამაშები „რა? სად? როდის?“, სადაც არა მხოლოდ ჩვენი სკოლა, სხვა სკოლის მოსწავლეებიც არიან აქტიურად ჩართულნი. ასევე, უნივერსიტეტში ხშირად ტარდება „რა? სად? როდის?“, სადაც ჩვენი მოსწავლეებიც მონაწილეობენ.

- განხორციელებული პროექტებიდან რომელს დაგვისახელებთ?

- სამოქალაქო განათლების პროექტს გამოვყოფდი. მანამდე გვქონდა პროექტი საგანგებო სიტუაციებზე, რომელსაც აკეთებდა ევროკავშირი. მასში ამიერკავკასიის მასშტაბით ჩართული ვიყავით ორი სკოლა, ვმონაწილეობთ სხვადასხვა უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ კონკურსში. ამ ბოლო დროს ჩვენი მოსწავლეები ჩართულნი იყვნენ ესეების კონკურსში, რომელსაც თბილისის უნივერსიტეტი ატარებდა. გამარჯვებულ სამეულში მოხვდნენ ჩვენი სკოლის მოსწავლეები. ვმონაწილეობთ ოლიმპიადებში. მაგალითად, აჭარის ოლიმპიადაში არაერთხელ ავიღეთ პირველი ადგილი ფიზიკაში, ასევე, ქართულში და როგორც გამარჯვებულებს ორჯერ გადმოგვეცა ბიბლიოთეკისთვის წიგნები, დაახლოებით, თითო გადმოცემაზე 1800-2000 ლარის ოდენობის. ეს იყო ჩვენი სკოლის მოსწავლეების დამსახურება.

- პროფორიენტაციის მიმართულებით თუ მუშაობთ სკოლის დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებთან?

- მეცხრეკლასელებთან ვმუშაობთ უმეტესად, ვთანამშრომლობთ კოლეჯთან „ბლექსი“, ისინი სტუდენტებს აგზავნიან ჩვენთან პრაქტიკაზე, ასევე, „ახალ ტალღასთან“ გვაქვს თანამშრომლობა და მეგობრული ურთიერთობა ამ მიმართულებით. პროფესიული სასწავლებლები კარგი საშუალებაა იმ მოსწავლეებისათვის, რომლებიც მე-9 კლასიდან გადიან, სურთ ბაზრის მოთხოვნად პროფესიებს მოკლე პერიოდში დაეუფლონ და დასაქმდნენ. ამასთან, პროფსასწავლებელი იძლევა საშუალებას, რომ ახალგაზრდა მალევე ჩამოყალიბდეს და გაერკვეს საკუთარ თავში - თანხვედრაშია სასურველი პროფესია მის შესაძლებლობებთან, თუ ეს უბრალოდ გატაცებაა.

ფასებაა.

- თქვენი სკოლის რამდენმა მოსწავლემ აბარა ეროვნული გამოცდები და რამდენი ჩაირიცხა უმაღლეს სასწავლებელში?

- 8 ათეულზე მეტმა აბარა და ჩარიცხულების დაახლოებით 15-20%-მა გრანტი აიღო, თანაც საკმაოდ პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებლებში.

- როგორც ვიცით, წელს წამყვანი და მენტორი მასწავლებლის სტატუსის მოსაპოვებლად თქვენი სკოლის რამდენიმე პედაგოგი იბრძოდა...

- წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მსურველი 7-დან 4-მა წარმატებით ჩააბარა ეს გამოცდები, რაც ნამდვილად სასიხარულო და საამაყოა. პედაგოგების კომპეტენცია ჩვენთან ძალიან მაღალია, გვყავს ტრენერები, რომლებიც მასწავლებელთა სახლში მუშაობენ - 4-5 პედაგოგი. კათედრების მუშაობაც ძალიან კარგია ჩვენს სკოლაში. არ არის საგანი, რომ 10-ზე ნაკლები პედაგოგი გვყავდეს.

- თითქმის ყველა სკოლაში, მოწესრიგებული და მშვიდი გარემოს შექმნის მიზნით, დერეფნებში მასწავლებლების მორიგეობაა დაწესებული. რა მოვალეობა აქვს მორიგე მასწავლებელს და ავალდებულებს თუ არა კანონი პედაგოგს დერეფანში მორიგეობას?

- მორიგე მასწავლებელს ევალება უსაფრთხოების დაცვა. არის სკოლები, სადაც ზარის დარეკვაც მის მოვალეობაში შედის. ჩვენს შემთხვევაში ასე არაა. მორიგე მასწავლებელმა შესვენების პერიოდში ბავშვის უსაფრთხოება უნდა დაიცვას როგორც საკლასო ოთახში, ასევე დერეფანში.

- რამდენი მანდატური ჰყავს სკოლას?

- ოთხი. სკოლის როგორც შიდა, ასევე გარე პერიმეტრზე დამონტაჟებული გვაქვს კამერები. ვცდილობთ, მოსწავლეების უსაფრთხოება მაქსიმალურად იყოს დაცული, მათ შორის, სახანძრო უსაფრთხოების მხრივ. სკოლის პირველი ამოცანაა სწავლებისა და სწავლის ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება. ვზრუნავთ, რომ ჩვენი საგანმანათლებლო დაწესებულება კვალიფიცირებული კადრებით იყოს დაკომპლექტებული. ამ დროისთვის 100 მასწავლებელზე მეტი გვყავს. მარტო წელს 13 მასწავლებელი მივიღეთ კონკურსის წესით, მათ შორის ორ ათეულამდე წამყვანი მასწავლებელია და მასწავლებელთა 98% - სერტიფიცირებული. 2-3 პედაგოგი გვყავს სპორტში. როდესაც კადრების ნაკლებობა გვქონდა, დავტოვეთ არასერტიფიცირებული მასწავლებელიც, თუმცა ამჟამად ამ მხრივაც ძალიან კარგი მდგომარეობა გვაქვს.

- რამდენი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე და შშმ მოსწავლე გყავთ?

- 35 მოსწავლე - როგორც შშმ, ასევე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე. პირველ კლასში 3-4 მოსწავლეა, რომლებსაც გადაადგილება უჭირთ და მათთვის ასისტენტი გვყავს გამოყოფილი. დამატებით გამოვაცხადეთ კონკურსი 2 ასისტენტზე.

- პირად ასისტენტს გულისხმობთ?

- დიახ, არის შემთხვევა, როდესაც 2 მოსწავლეზე 1 ასისტენტია საჭირო, მაგრამ არის შემთხვევა, როდესაც ერთ მოსწავლეს ერთი ასისტენტის საჭიროება აქვს. ამ მხრივაც ვმუშაობთ. შინ სწავლებაზე გვყავს 3 მოსწავლე, რომლებსაც გადაადგილება უჭირთ - მასწავლებელი მიდის მათთან და სპეციალური საგაკვეთილო ცხრილით უტარებს გაკვეთილს. რეკომენდებულია ონლაინგაკვეთილებიც. გვყავს ორი მშობელი, რომლებსაც არ სურთ მასწავლებლის სახლში მისვლა და ამ ორ მოსწავლეს ვუტარებთ ონლაინგაკვეთილებს. მიმდინარეობს სკოლის რემონტი, მალე დასრულდება 3 პანდუსის მოწყობა და დამონტაჟდება, ასევე ლიფტი - შშმ და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის.

- რამდენად ხელმისაწვდომია თქვენს სკოლაში სასწავლო გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე და შშმ მოსწავლეებისათვის?

- ამ ეტაპისთვის პრობლემა შშმ მოსწავლის სპეციალიზებული საპირფარეშოა, რომელიც კეთდება. გვყავს მოსწავლე, რომლისთვისაც გავაკეთეთ ინდივიდუალური საპირფარეშო. გვაქვს ცხელი და ცივი წყალი. დაგეგმილია სპეციალური საპირფარეშოების მოწყობა მე-2 და მე-4 სართულებზე. როგორც აღვნიშნე, პანდუსის და ლიფტის პრობლემა სულ მალე გადაიჭრება, ძირითადი სამუშაო შესრულებულია, მოსაპირკეთებელი სამუშაოებია დარჩენილი.

- გყავთ სპეცმასწავლებლები?

- რა თქმა უნდა. 5-დან 2 უკვე სერტიფიცირებულია. ამასთან, ზემოთაც ვთქვი, გვყავს 2 ასისტენტი და მალე კიდევ 4 გვეყოლება. გვაქვს 3 რესურსოთახი, რომლებიც აღჭურვილია საჭირო და აუცილებელი სპეციალური ინვენტარით და მოწყობილია მათთვის სასურველი დიზაინით.

- წლების განმავლობაში რამდენად შეიცვალა მშობლების დამოკიდებულება სკოლისადმი?

- სამწუხაროდ, დიდად არაფერი შეცვლილა - მშობელს მოთხოვნა სკოლისადმი უფრო მეტი აქვს და თავის მოვალეობაზე ნაკლებად ფიქრობს. თუ კარგია, ჩვეულებრივი ამბავია, თუ ოდნავ რაღაც ისე არ არის, სკოლისკენ გამოიშვერს ხელს. წლებთან ერთად დამოკიდებულება ცოტათი გაუმჯობესდა, მაგრამ პრობლემა მაინც რჩება. ყველა მშობელზე არ ვამბობ, რა თქმა უნდა. ჩვენ კონფერენციაც გვქონდა ამ თემაზე. უნდა შეიკრას ციკლი - სკოლა, ოჯახი, საზოგადოება. მარტო სკოლა ვერაფერს გახდება, ეს ჯაჭვი ერთობლივად თუ არ იმუშავებს.

> *ამ დროისთვის 100 მასწავლებელზე მეტი გვყავს. მარტო წელს 13 მასწავლებელი მივიღეთ კონკურსის წესით, მათ შორის ორ ათეულამდე წამყვანი მასწავლებელია და მასწავლებელთა 98% - სერტიფიცირებული. 2-3 პედაგოგი გვყავს სპორტში. როდესაც კადრების ნაკლებობა გვქონდა, დავტოვეთ არასერტიფიცირებული მასწავლებელიც, თუმცა ამჟამად ამ მხრივაც ძალიან კარგი მდგომარეობა გვაქვს*

- რას ურჩევთ მშობლებს, რომლებიც უხეშად ერევიან შვილების პროფესიულ არჩევანში?

- პირველ რიგში, ვისურვებდი, ასე არ იყოს. მშობლებს ვურჩევ, მისცენ შვილებს მხოლოდ სწორი მიმართულება და დაუტოვონ არჩევანის თავისუფლება. თანამედროვე ახალგაზრდები, დღევანდელი საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ჩვენზე უკეთ აზროვნებენ, ამიტომ შვილის არჩევანს პატივი უნდა სცენ. თუ ახალგაზრდას პროფესია გააზრებულად აქვს არჩეული, შეუძლებელია, წარმატებას არ მიაღწიოს. ნებისმიერი პროფესია არის დასაფასებელი. პროფესიონალიზმი, ხელობა ყველა ეპოქაში ფასდებოდა. მთავარია, შენი საქმე იცოდე. ახალ თაობას წინსვლის და განვითარების საშუალება უნდა მივცეთ.

- ზოგიერთი მშობლისთვის დღემდე ნიშანი და ქულაა მთავარი...

- ეს არის ყველაზე ცუდი, განსაკუთრებით - დაბალ კლასებში. არადა, ნიშნისთვის კი არა, ცოდნისთვის უნდა იბრძოლონ. ამიტომ არის, რომ მეხუთე კლასის პირველ სემესტრამდე არ იწერება განმსაზღვრელი შეფასება, მხოლოდ განმავითარებელი შეფასებაა. ამ დროისთვის 100 მასწავლებელზე მეტი გვყავს. მარტო წელს 13 მასწავლებელი მივიღეთ კონკურსის წესით, მათ შორის ორ ათეულამდე წამყვანი მასწავლებელია და მასწავლებელთა 98% - სერტიფიცირებული. 2-3 პედაგოგი გვყავს სპორტში. როდესაც კადრების ნაკლებობა გვქონდა, დავტოვეთ არასერტიფიცირებული მასწავლებელიც, თუმცა ამჟამად ამ მხრივაც ძალიან კარგი მდგომარეობა გვაქვს.

- რამდენი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე და შშმ მოსწავლე გყავთ?

- 35 მოსწავლე - როგორც შშმ, ასევე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე. პირველ კლასში 3-4 მოსწავლეა, რომლებსაც გადაადგილება უჭირთ და მათთვის ასისტენტი გვყავს გამოყოფილი. დამატებით გამოვაცხადეთ კონკურსი 2 ასისტენტზე.

- პირად ასისტენტს გულისხმობთ?

- დიახ, არის შემთხვევა, როდესაც 2 მოსწავლეზე 1 ასისტენტია საჭირო, მაგრამ არის შემთხვევა, როდესაც ერთ მოსწავლეს ერთი ასისტენტის საჭიროება აქვს. ამ მხრივაც ვმუშაობთ. შინ სწავლებაზე გვყავს 3 მოსწავლე, რომლებსაც გადაადგილება უჭირთ - მასწავლებელი მიდის მათთან და სპეციალური საგაკვეთილო ცხრილით უტარებს გაკვეთილს. რეკომენდებულია ონლაინგაკვეთილებიც. გვყავს ორი მშობელი, რომლებსაც არ სურთ მასწავლებლის სახლში მისვლა და ამ ორ მოსწავლეს ვუტარებთ ონლაინგაკვეთილებს. მიმდინარეობს სკოლის რემონტი, მალე დასრულდება 3 პანდუსის მოწყობა და დამონტაჟდება, ასევე ლიფტი - შშმ და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის.

- რამდენად ხელმისაწვდომია თქვენს სკოლაში სასწავლო გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე და შშმ მოსწავლეებისათვის?

- ამ ეტაპისთვის პრობლემა შშმ მოსწავლის სპეციალიზებული საპირფარეშოა, რომელიც კეთდება. გვყავს მოსწავლე, რომლისთვისაც გავაკეთეთ ინდივიდუალური საპირფარეშო. გვაქვს ცხელი და ცივი წყალი. დაგეგმილია სპეციალური საპირფარეშოების მოწყობა მე-2 და მე-4 სართულებზე. როგორც აღვნიშნე, პანდუსის და ლიფტის პრობლემა სულ მალე გადაიჭრება, ძირითადი სამუშაო შესრულებულია, მოსაპირკეთებელი სამუშაოებია დარჩენილი.

- გყავთ სპეცმასწავლებლები?

- რა თქმა უნდა. 5-დან 2 უკვე სერტიფიცირებულია. ამასთან, ზემოთაც ვთქვი, გვყავს 2 ასისტენტი და მალე კიდევ 4 გვეყოლება. გვაქვს 3 რესურსოთახი, რომლებიც აღჭურვილია საჭირო და აუცილებელი სპეციალური ინვენტარით და მოწყობილია მათთვის სასურველი დიზაინით.

- წლების განმავლობაში რამდენად შეიცვალა მშობლების დამოკიდებულება სკოლისადმი?

- სამწუხაროდ, დიდად არაფერი შეცვლილა - მშობელს მოთხოვნა სკოლისადმი უფრო მეტი აქვს და თავის მოვალეობაზე ნაკლებად ფიქრობს. თუ კარგია, ჩვეულებრივი ამბავია, თუ ოდნავ რაღაც ისე არ არის, სკოლისკენ გამოიშვერს ხელს. წლებთან ერთად დამოკიდებულება ცოტათი გაუმჯობესდა, მაგრამ პრობლემა მაინც რჩება. ყველა მშობელზე არ ვამბობ, რა თქმა უნდა. ჩვენ კონფერენციაც გვქონდა ამ თემაზე. უნდა შეიკრას ციკლი - სკოლა, ოჯახი, საზოგადოება. მარტო სკოლა ვერაფერს გახდება, ეს ჯაჭვი ერთობლივად თუ არ იმუშავებს.

უკრაინა

სერბეთის პრეზიდენტ ალექსანდრ ვუჩიჩის განცხადებით, ხერსონისთვის ბრძოლა გადამწყვეტი იქნება უკრაინის ომში. "წინ რთული დრო გველის, მომავალი ზამთარი კიდევ უფრო რთული იქნება, ვიდრე მიმდინარე წლის ზამთარი, რადგან წინ გვაქვს სტალინგრადის ბრძოლა, გადამწყვეტი ბრძოლა უკრაინის ომში, ბრძოლა ხერსონისთვის, რომელშიც ორივე მხარე იყენებს ათასობით ტანკს, თვითმფრინავსა და არტილერიას“, - განაცხადა სერბეთის პრეზიდენტმა. მისი თქმით, დასავლეთი ფიქრობს, რომ ამ გზით ის რუსეთს გაანადგურებს, რუსეთი კი ფიქრობს, რომ დაიცვას ის, რაც ომის დასაწყისში დაიკავა.

* * *

დროებით ოკუპირებული მარიუპოლის ირგვლივ ოკუპანტებმა თავდაცვის ხაზის მშენებლობა დაიწყეს, - ამის შესახებ ოკუპირებული ქალაქის მერის მრჩეველმა პეტრ ანდრიუშენკომ განაცხადა. მისი თქმით, მარიუპოლში ტანკსაწინააღმდეგო ბეტონის პირამიდებს აწარმოებენ. „ბეტონის წარმოების ორ მინიქარხანაში ტანკსაწინააღმდეგო ბეტონის პირამიდებს აწარმოებენ, რომლებიც ნაწილობრივ ტრანსპორტირდება ზაპოროჟიე/ხერსონის მიმართულებით“, - აღნიშნა ანდრიუშენკომ. მისი თქმით, ოკუპანტებმა ბეტონის პირამიდების ნაწილი მარიუპოლსა და ნიკოლსკოეს შორის ტერიტორიაზე აღმართეს. ასევე, მნიშვნელოვნდ აძლიერებენ მიმართულებას ჩრდილოეთიდან დასახლებულ პუნქტ ძველი ყირიმისკენ. ანდრიუშენკოს თქმით, მიუხედავად განცხადებისა, რომ „რუსეთი სამუდამოდ არის აქ“, სინამდვილეში რუსებს ასეთი ოპტიმიზმი არ აქვთ.

* * *

გასული დღის განმავლობაში რუსმა დამპყრობლებმა უკრაინის ტერიტორიაზე 4 სარაკეტო და 24 საჰაერო დარტყმა განახორციელეს. მოწინააღმდეგის მხრიდან დარტყმა 30 დასახლებულ პუნქტზე ხორციელდებოდა, - ინფორმაციას უკრაინის გენშტაბი ავრცელებს. მათივე ცნობით, მტერმა მრავალჯერადი სარაკეტო სისტემებიდან 55-ზე მეტი შეტევა განახორციელა. „ზაპოროჟიეს, დონეცკის, ლუგანსკის, ნიკოლაევის, სუმისა და ხერსონის ოლქების 30 დასახლებული პუნქტი მტრის დარტყმას განიცდიდა“, - ნათქვამია მოხსენებაში. იმავდროულად, ვითარება ვოლინისა და პოლესეს მიმართულებებში მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. სევერსკის, სლობოჟანსკის, კუპიანსკის, ლიმანსკის, ბახმუტსკის, ავდეევსკის, ნოვოპავლოვსკის, ზაპოროჟიეს და იუჟნობუგსკის მიმართულებით მტერი სხვადასხვა ტიპის იარაღიდან ისროდა, კერძოდ: ნაღმმტყორცნებიდან, ქვემეხებიდან, სარაკეტო არტილერიიდან და ტანკებიდან. დამპყრობლებმა აამოქმედეს გამანადგურებელი უპილოტო საფრენი აპარატები, აგრძელებენ საჰაერო დაზვერვას, აქტიურად იყენებენ დრონებს, რომლებმაც 20-ზე მეტი ფრენა განახორციელეს.

* * *

უკრაინის შეიარაღებულმა ძალებმა ქვეყნის სამხრეთით 14 რუსი ჯარისკაცი, დრონების მართვის პუნქტი და საბრძოლო მასალის სამი საცავი გაანადგურეს. ოპერატიული სარდლობა „სამხრეთის“ ინფორმაციით, უკრაინის სარაკეტო და საარტილერიო დანაყოფებმა გასული დღის განმავლობაში 147 საცეცხლე ამოცანა შეასრულეს. „დღის განმავლობაში მოწინააღმდეგის დანაკარგია: 14 რაშისტი, 3 ერთეული ჯავშანტექნიკა, უპილოტო საფრენი აპარატის მართვის პუნქტი, ასევე 3 საბრძოლო საცავი ბერისლავისა და ხერსონის ტერიტორიებზე“, - აცხადებენ სარდლობაში.

* * *

უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის განცხადებით, რუსები აგროვებენ ძალას უკრაინის ქალაქებზე ახალი დარტყმისთვის. „ტერორისტული სახელმწიფო ჩვენს ინფრასტრუქტურაზე მასიური თავდასხმის შესაძლო განმეორებისთვის ძალებისა და საშუალებების კონცენტრირებას ახდენს. პირველ რიგში, ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის. ამისთვის რუსეთს სჭირდება ირანული რაკეტები“, - განაცხადა ზელენსკიმ. მისი თქმით, ირანის რეჟიმი ეხმარება რუსეთს ამ ომის გახანგრძლივებაში და ყველამ, ვინც ამას აკეთებს, ომის შედეგებზე პასუხი რუსეთთან ერთად უნდა აგოს. „რომ არა ირანული იარაღის მიწოდება აგრესორისთვის, ახლა უფრო ახლოს ვიქნებოდით მშვიდობასთან და ეს ნიშნავს, რომ უფრო ახლოს ვიქნებოდით სასურსათო კრიზისის სრულ გადაწყვეტასთან, უფრო ახლოს ვიქნებოდით ცხოვრების ხარჯების კრიზისის მოგვარებასთან, ენერგეტიკული ბაზრის სტაბილიზაციასთან“, - აღნიშნა ზელენსკიმ.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

„ემიგრაცია ადამიანს ართმევს ცხოვრების ლამაზ ფერებს“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

*„ეკლიანი სიყვარული“ ქალბატონმა ეთერ ზაქარიაძემ უცხოეთში დაწერა და გამოაქვეყნა. ეს ვრცელი პროზაული ნაწარმოები ემიგრანტთა ცხოვრების მრავალ პრობლემას მხატვრულად წარმოაჩენს და ყურადღებაც მიიპყრო. ამის დასტურია ახლახან თბილისში საქართველოს მწერალთა კავშირის ინიციატივითა და მხარდაჭერით გამართული პრეზენტაცია. ეს დღე დაუვიწყარი იყო არა მარტო ავტორისთვის, არამედ ყველა დამსწრისათვის. საზოგადოების წინაშე ღირსეულად წარმოჩნდა ემიგრანტი ქალბატონი - პოეტი, პროზაიკოსი, რომელიც უკვე ათ წელზე მეტია, უცხოეთში ცხოვრობს, წარმატებით საქმიანობს და თანამემამულეებს შორეული ცის ქვეშ თავის გულის სითბოს უწილადებს, ცდილობს, უანგაროდ დაეხმაროს, ხვედრი შეუმსუბუქოს... დამსწრეთა წინაშე იდგა ეს მშვენიერი ქალბატონი და გულახდილად საუბრობდა, მისგან სიკეთე და სიყვარული იფრქვეოდა. მას პატივისცემით უკრავდნენ ტაშს, არც საქებარი სიტყვები დაუშურებიათ. ამჟამად ქალბატონი ეთერი შვეიცარიაში, ქალაქ ციურიხშია. დავუკავშირდით მას და ვთხოვეთ, ეპასუხა ჩვენი შეკითხვებისათვის. მაშ ასე, ნომრის სტუმარია ქალბატონი **ეთერ ზაქარიაძე**.*

- მწერალთა სახლში თქვენი წიგნის პრეზენტაცია, როგორც აღინიშნა, ძალიან წარმატებულად ჩატარდა. გვიამბეთ ამის თაობაზეც და თავად წიგნზეც.

- „უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა“... 14 ოქტომბერი და ჩემი პირველი წიგნის დაბადება სიზმრიდან ახდენილ ოცნებად დარჩება ჩემში. თავმდაბლობით, მორცხვად და მაინც ამაყად ვიდექი დიდი, ღირსეული მწერლების, პოეტების გვერდით. წიგნი ყოველთვის ჩემი „სისუსტე“ იყო, მუდამ მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ჩემს ცხოვრებაში და როდესაც წიგნს ვწერდი, სამყაროს თავისუფლად მჭვრეტელი ვხდებოდი, ვფიქრობდი იმაზე, რაც ყველაზე მთავარი და არსებითია: რას ნიშნავს ადამიანად ყოფნა, ვინ ვარ და რატომ ვარ ამ ქვეყანაზე. ვწერდი და ვბრუნდებოდი ჩემს თავთან, ვცდილობდი, აღმომეჩინა ის შესაძლებლობა, რაც ჩემში იყო.

- „თქვენ, რომ ლამაზი კომენტარებით და მოწონებებით მამხნევებდით, დადგა დრო მადლიერებისა“. ეს სიტყვები საჯაროდ თქვით და შემდეგ როგორ გამოხატეთ თქვენი მადლიერება?

- ჩემთვის მკითხველია ავტორის, წიგნის შემფასებელი. მინდა ვისარგებლო ამ შემთხვევით და ჩემი პოეზიის თუ პროზის თითოეულ მკითხველს მადლობა გადავუხადო თანადგომისთვის, წახალისებისთვის, თითოეული მოწონებისთვის. 200 წიგნი საჩუქრად დავურიგე თითოეულს, ვინც მომწვდა. ვინც ვერ მომწვდა, მათგანაც ყველა მიიღებს უანგაროდ. ჩემი მკითხველის დამსახურებაა, რომ 14 ოქტომბერს ვიდექი მწერალთა სახლში, ღირსეული ადამიანების ნაკვალევზე - სცენაზე და დარბაზიდან მკითხველის სიყვარულით ავსებული თვალები მამხნევებდა. დიახ! როდესაც ჩემს წიგნს ვწერდი, ვფიქრობდი მკითხველზე, რომ ჩემს წიგნში თითოეულ მკითხველს ამოეცნო საკუთარი თავი და ეთქვათ: ავტორი იმაზე მეტად გვიცნობს, ვიდრე მე თვითონ ვიცნობ საკუთარ თავს.

- დიდი ხანია უცხოეთში ცხოვრობთ, ემიგრანტის ყოფამ ბევრი სათქმელი დაგიგროვათ, ცხადია...

- რაც უნდა კარგ გარემოში მოხვდე, მაინც რთულია ემიგრანტის ცხოვრება. 2001 წლიდან დაიწყო ეს ჩემთვის. ემიგრანტობის პირველი რვა წელი შვეიცარიაში, ქალაქ ციურიხში გავატარე, მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ ასე მაღალ დონეზე არ იყო ინტერნეტი, სკაიპი, წვდომა დატოვებული ოჯახის წევრებთან, მეგობრებთან. ძალიან მიჭირდა, რვა წელი არ იყო ცოტა დრო. დრო და მანძილი, რომელიც აუფერულებს ყველა ტკბილ გრძნობას და გართმევს ადამიანს ცხოვრების ყველაზე ლამაზ ფერებს. რვა წლის შემდეგ დავბრუნდი სამშობლოში, ვიხილე გადატრიალებული სახელმწიფო, სიღატაკის გზაზე დამდგარი გლეხობა, უმუშევრობა, გაუსაძლისი პირობები. გაიყინა სამსახურები... გამოსავალს მხოლოდ ემიგრაციაში დაბრუნებაში ვხედავდი. მიძნელდებოდა და მაინც დავბრუნდი, ამჯერად იტალიაში, რომში წავედი, მაგრამ შვეიცარია სულ სხვაგვარად მიზიდავდა.

- მოდით, გვამოგზაურეთ შვეიცარიაში და აგვიწერეთ თუნდაც ერთი დღე, ცხოვრების წესი, ადამიანები, ურთიერთობები, რა მოგწონთ, როგორია მათი დამოკიდებულება გარემოსთან, წესრიგთან, რას ისურვებდით, რომ საქართველოშიც დანერგილიყო...

- შვეიცარია არის ძალიან მიმზიდველი ადგილი საცხოვრებლად და სამუშაოდ მრავალი არაშვეიცარიელი მოქალაქისათვის მისი საოცარი პეიზაჟებით. შეუძლიათ შექმნან კომპანია, დასაქმდნენ მასში, ცხოვრობდნენ და ისარგებლონ მიმზიდველი საგადასახადო რეჟიმით. აქ ცხოვრებას ბევრი უპირატესობა აქვს. ეს არის უსაფრთხო, ნეიტრალური ქვეყანა, აქვს ცხოვრებისა და განათლების მაღალი სტანდარტები, ეს არის ლამაზი ქვეყანა ხელუხლებელი ტბებით ალპების ფონზე, აქ 70 ულამაზესი ტბაა. მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე უცნაური, ჩაკეტილი სახელმწიფოა, რომელიც არასდროს ერევა საერთაშორისო კონფლიქტებში, თვითონ აწარმოებს კვების ყველა პროდუქტს, საკუთარ ბანკებში მსოფლიოს ფინანსების დაცვით კი, თავდაცვასაც მშვენივრად ახერხებს. კვირა დღეს ყველა მაღაზია იკეტება, შვეიცარიელები გვიან იღვიძებენ და მთელ კვირა დღეს ოჯახის წევრებთან ერთად ატარებენ, კატეგორიულად აკრძალულია დასვენების დღეებში „ხმაურით“ მუშაობა. ვისურვებდი, რომ საქართველოში ყველამ თავისი საქმე აკეთოს და ერთმანეთის უღალატო სიყვარული დამკვიდრებულიყოს.

- მდიდარი ადამიანი ხართ - შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები... ეს თქვენი სიძლიერის წყაროცაა და მოტივაციაც....

- ვამაყობ ჩემი შვილებით, აქვთ მიზანი, უყვართ შრომა, უმკლავდებიან პრობლემებს და ღვთისგან ნაბოძებ სიცოცხლეში ცხოვრებას ირგებენ.

- მოგონება, რომელიც მუდამ თან გდევთ და შთაგაგონებთ.

- ყოველთვის, როცა ეკალი მხვდება, მაგონდება მამის შეგონება: „იარე იმ გზით, რომელიც გაკვალული არაა და მხოლოდ შენი კვალი დატოვე!“ მთავარია, იყო ადამიანობის, სიკეთის და სიყვარულის მატარებელი სიცოცხლის ბოლომდე.

- თქვენს ლექსებში ხშირად გვხვდება მითოლოგიური სახე-ხატები. ცხადია, საგანგებოდ მიმართავთ მითოსს. საინტერესოა თქვენი შეხედულება ამის შესახებ.

- სამყაროში ყველაფერი ბუნებას ეკუთვნის. რთულია ბუნების გამოკვლევა, რთულია დავინახოთ მითოლოგიური სამყარო მისი სპეციფიკური და მკაფიოდ ინდივიდუალური სახით. ვეყრდნობი ძველი მითებისა და ისტორიების ნაკრებს, ღვთისშვილებსა და გმირებს, რომლებსაც ზებუნებრიობა ახასიათებთ და სასწაულებრივად იბადებიან.

- მკითხველი რა სიახლეებს უნდა ელოდოს თქვენგან?

- მწერალთა კავშირის წევრობა პასუხისმგებლობას მმატებს. გადავდგი ნაბიჯი და უნდა დავძლიო პრობლემები, ვიარო წინ და მკითხველის წინაშე თქმული სიტყვა საქმით დავამშვენო. ემიგრაციაში ერთდროულად ორ წიგნზე ვმუშაობ: „ფული, ვნება თუ სიყვარული“ და „ზღაპრის კაცი“.

- „კაცი განა მხოლოდ მაშინ კვდება, როცა სიკვდილი კარს მოადგება?“ როცა ამას წერდით, ცხადია, გულისტკივილით, რა გაფიქრებდათ და საერთოდ, რას ფიქრობთ სიკვდილზე?

- სიკვდილზე საუბარი ყოველთვის არასასიამოვნოა, მასზე ფიქრის დროსაც ცუდი შეგრძნება გეუფლება... მიწიერ განცდათა შორის ყველაზე საშინელი შიშია, მისი ატანა უფრო მძიმეა, ვიდრე სიღარიბის, ავადმყოფობის და სხვა... სიკვდილის შიშის განადგურება მხოლოდ ბუნების შეცნობით შეიძლება. ადამიანი ვერ მიაღწევს უმაღლეს თავისუფლებას, თუ მან არ გადალახა სიკვდილის შიში, რადგან მასზე დამფრთხალი ფიქრი უფრო უარესია, ვიდრე თვით სიკვდილი... თუმცა, კიდევ უფრო საშინელი იქნებოდა იმაზე ფიქრი, რომ ჩვენ არასოდეს მოვკვდებით.

- ფიქრები, რომლებიც ხშირად გსტუმრობთ...

- ფიქრი არაფერს ნიშნავს საქმის გარეშე. ვფიქრობ წარსულზეც, განვლილზე, მომხდარზე, რაც მომავლის პროგნოზირებაში მეხმარება.

- თვითშეცნობის გზა და საშუალება ბევრია, მაგრამ „ჰა, თქვენშია ღვთის სასუფეველი“ ამის განცდა ძნელდება.

- ადამიანი ღვთის შვილია, მაგრამ საიდუმლო იმაშია, რომ ღმერთის შვილი ორადაა გაყოფილი და მას ადამიანი ჰქვია. ორად გაყოფილ ადამიანში მუდმივად მიმდინარეობს შინაგანი დიალოგი ორ ურთიერთსაპირისპირო ნაწილს შორის. ერთი ნაწილი გამბედავია, ცვლილებების მოყვარული, მკვლევარი, საიდუმლო იზიდავს, მეორე კი მშიშარა, კომფორტის მოყვარული, წუთიერ გრძნობებს აყოლილი მედროვეა, ერთი ცისკენ იყურება, მეორე - მიწისკენ. ისინი ებრძვიან ერთმანეთს და შინაგანი დიალოგი ამ ბრძოლის გამოძახილია. როდესაც მედროვე და სიამოვნებას აყოლილი ნაწილი იწყებს გამარჯვებას, ადამიანი ბერდება და კვდება. საჭიროა სიყვარულის მდგომარეობაში რაც შეიძლება ხშირად დაბრუნება, რომ ღვთის სასუფეველი დაიმკვიდროს ადამიანის სულმა. ცათა სასუფეველი წააგავს მინდორში დაფარულ საუნჯეს, რომელსაც იპოვის კაცი და დამალავს, სიხარულით მიდის და ყიდის ყოველივეს, რაც აბადია და ყიდულობს იმ მინდორს.

- ადამიანმა ბედნიერად რომ იგრძნოს თავი, რა არის ამისათვის მთავარი და თქვენ რას ურჩევდით?

- იმისათვის, რომ ბედნიერი იყო, ბედნიერების შესაძლებლობის უნდა გჯეროდეს, რომელიც შიგნიდან მოდის და ვერავინ შეძლებს ადამიანის გაბედნიერებას, გარდა საკუთარი თავისა. ბედნიერებამ თქვა: „ყველა ასახდენ ზღაპარში მნახე... და იმედის სიოდ გამომიძახე“. ვურჩევდი ადამიანებს, დაეყრდნონ მიზანს და არა ადამიანებს და საგნებს.

- წიგნის პრეზენტაციაზე ჩამოხვედით საქართველოში, რა ცვლილებები დაგხვდათ აქ. როგორია შთაბეჭდილება?

- ჩამოვედი 12 წლის შემდეგ და აეროპორტში ფეხით რომ შევეხე მიწას, ვიგრძენი მისი სურნელი სულ სხვა - ჩემი მიწის, ავმჩატდი და ვიფიქრე, თვითონ მიწამ ხელში ამიყვანა. მიწა შემიყვარდა... ადამიანები ვერ ვიცანი. ადამიანები სულ სხვა აურით დატვირთულად აღვიქვი. უცხოდ დავდიოდი. ვფიქრობდი, სადღაც უცხო გარემოში მოვხვდი. დრო დიდი არ მქონდა და როდესაც ემიგრაციაში დავბრუნდი, თავისუფლად ამოვისუნთქე და მეგონა, ჩემს ბუდეში დავბრუნდი. ცუდია, მაგრამ სიმართლეა. გავიმეორებ: ემიგრაცია ადამიანს ართმევს ცხოვრების ლამაზ ფერებს.

- მიუხედავად სიძნელეებისა და პრობლემებისა, სიცოცხლე, ცხოვრება საინტერესო და საოცნებოა, არა?

- ცხოვრება ღირს, რაც არ უნდა მოხდეს შენ გარშემო. იგი განძია და ყოველი წამი ძვირფასია მისი ტკივილებით და საოცრებებით. ცხოვრება პატარა სპექტაკლია: იმღერეთ, გაიცინეთ, იცეკვეთ, ცოტა კიდეც იტირეთ და ინტენსიურად იცხოვრეთ ცხოვრების ყოველ მომენტამდე, სანამ ფარდა დაეშვება და სპექტაკლი ტაშის გარეშე დასრულდება. ცხოვრება ხომ მოკლეა და მეტს არ იძლევა.

- ხვალინდელი დღე - როგორ გესახებათ ის რეალურად?

- დედამიწა გლობალური კატასტროფისაკენ მიიჩქარის. ქვეყნის ერთ ნაწილში ყველაფერი ცოცხალი იღუპება. მეორე ნაწილს კი წყლის სტიქია აზანზარებს, ძნელია დაკარგული „შვილის“ ძებნა, როდესაც ახალი მყინვარების პერიოდი დგება. ვიოცნებოთ ტკბილ სიზმრებზე, რადგან რეალურად, ხვალინდელი დღე არასოდეს მოკვდება.

> *„ორად გაყოფილ ადამიანში მუდმივად მიმდინარეობს შინაგანი დიალოგი ორ ურთიერთსაპირისპირო ნაწილს შორის. ერთი ნაწილი გამბედავია, ცვლილებების მოყვარული, მკვლევარი, საიდუმლო იზიდავს, მეორე კი მშიშარა, კომფორტის მოყვარული, წუთიერ გრძნობებს აყოლილი მედროვეა, ერთი ცისკენ იყურება, მეორე - მიწისკენ. ისინი ებრძვიან ერთმანეთს და შინაგანი დიალოგი ამ ბრძოლის გამოძახილია. როდესაც მედროვე და სიამოვნებას აყოლილი ნაწილი იწყებს გამარჯვებას, ადამიანი ბერდება და კვდება*

ყაზახური ქვანახშირის რუსეთის გავლით ტრანსპორტირება შეწყდება

მე-2 გვერდიდან

როგორც ცნობილია, 1-ლი აგვისტოდან ძალაში შევიდა ევროკავშირში ქვანახშირისა და სხვა სახის მყარი წიაღისეული საწვავის იმპორტის აკრძალვა, რომელიც მოპოვებული ან ექსპორტირებულია რუსეთიდან. ეს აკრძალვა ევროკავშირმა აპრილში, რუსეთის წინააღმდეგ სანქციების მეხუთე პაკეტის ფარგლებში მიიღო. გაერთიანება ალტერნატიულ მიმწოდებლებს ეძებს, რომელთა შორის იმ პერიოდში „კომერსანტი“ ერთ-ერთ ექსპორტიორ ქვეყნად, ტანზანიასა და ნიგერიასთან ერთად, ყაზახეთს ასახელებდა. ამასთან, ყაზახეთიდან ევროკავშირში ქვანახშირის ექსპორტის ზრდას იმიტომაც მოელიან, რომ ეს ქვანახშირი ევროპული ელექტროსადგურებისთვის შესაფერისია, საექსპორტო მარშრუტად კი აქტაუს პორტიდან აზერბაიჯანისა და საქართველოს ტერიტორია სახელდება.

დაანონსებულ სატრანზიტო აკრძალვამდე რუსეთის რკინიგზის შესაძლებლობებს გარკვეული ტექნიკური და სამართლებრივი შეზღუდვები ევროკავშირის მიერ დაწესებული სანქციების გამოც ჰქონდა, ამიტომ ყაზახური მხარე კასპიის ზღვაზე აქტაუს პორტის განვითარებასა და აზერბაიჯანი-საქართველოს გავლით ალტერნატიულ ექსპორტზე მანამდეც ფიქრობდა.

„ჩვენ ყველაზე მეტად ზღვაზე გასასვლელი გვჭირდება. ზოგადად, რუსეთთან და ბელარუსთან ერთიანი ეკონომიკური სივრცე ზუსტად იმიტომ შევქმენით, რომ ამ ქვეყნების სატრანზიტო ტერიტორიების გამოყენებით ზღვაზე გასვლა შეგვძლებოდა,“ - აცხადებდა ჯერ კიდევ აგვისტოში ყაზახეთის სამთომომპოვებელ და სამთომეტალურგიულ საწარმოთა ასოციაციის ხელმძღვანელი ნიკოლაი რადოსტოვეცი.

Eurostat-ის მონაცემებით, იანვრიდან მაისამდე პერიოდში ყაზახეთმა ევროკავშირის ქვეყნებს 1,5 მილიონი ტონა ქვანახშირი მიაწოდა, რაც, 2021 წლის მთლიან მოცულობაზე, თითქმის, ორჯერ მეტია. თუ იანვარსა და თებერვალში მიწოდების მოცულობა, დაახლოებით, 140-200 ათასი ტონა იყო, უკრაინაში საომარი მოქმედებების დაწყების შემდეგ ყაზახეთი ევროკავშირში ყოველთვიურად 300-400 ათას ტონა ქვანახშირს აგზავნის, მაშინ, როცა ერთი წლის წინ, აპრილსა და მაისში ყაზახური ქვანახშირის ექსპორტი ევროპაში მხოლოდ 60-70 ათას ტონას შეადგენდა.

მოამზადა
მარი მიდასელმა

«ნაპრალს თუ არ მიხედე, მალე ღრმა ხევად იქცევა»

როლანდ ივანაძეს მშობლიური შუახევის რაიონის მცხოვრებლები საქმეზე, ხელოვნებაზე შეყვარებულ ადამიანად იცნობენ. 60 წელზე მეტია იგი საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაშია ჩართული. მასთან საუბარში უკეთ წარმოჩნდა მისი როლი და ადგილი საზოგადოებასა და ხელოვნებაში

- ისტორიკოსები, მკვლევარები შუახევის მუნიციპალიტეტის პირველმკვიდრებად ივანესა და ზოსიმეს შთამომავლებს გვთვლიან. გვარები ივანაძე და ზოსიძეც ამის დასტურია. ჯაბნიძეების მრავალსაუკუნოვან ისტორიას ტოპონიმები: ქაშვეთი, კომაკეთი, კორძაული, გორი ადასტურებს. არქეოლოგებმა, როცა კომაკეთის გორზე გათხრები აწარმოეს, იქ არსებული მართლმადიდებლური ეკლესიის ნაშთები VII-VIII საუკუნეებს მიაკუთვნეს. მრავალ საგმირო თუ საერისკაცო საქმეებთან კავშირშია ჩემი წინაპრების ცხოვრება, შრომა, თუნდაც - ბრძოლა. 6 ძმასა და 5 დას მამა სულეიმან ივანაძე მათ მაგალითზე გვზრდიდა. 1966 წელს უჩამბის კლუბ-ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობა მანდო შუახევის რაიონის კულტურის განყოფილების მაშინდელმა გამგემ კონსტანტინე ბერიძემ. იქიდან მოყოლებული, 15-მდე ხელმძღვანელი გამოვიცვალე, 6 თვის განმავლობაში შუახევის რაიონის კულტურის განყოფილების გამგის მოვალეობასაც ვასრულებდი. ოჯახურმა გარემომ ხელი შემიწყო, რომ ფანდური და აკორდეონი ამეღო ხელში. მალე გატაცება საქმედ ვაქციე. წიგნების, განსაკუთრებით ისტორიული რომანების კითხვა ბავშვობიდანვე მიყვარდა. ფანდურმა და აკორდეონმა უკვე მუსიკალურ ლიტერატურასთან დამაკავშირა. თეორია როცა აკომპანიატორობასთან წილნაყარობა დავისახე მიზნად, მაშინ შუახევს მუსიკალურ ინსტრუმენტებზე დამკვრელი თვითნასწავლი ხელოვანები არ აკლდა. მათგან მივიღე პრაქტიკული გამოცდილება. შუახევის რაიონის მაშინდელი ხელმძღვანელები ფოლკლორის გამოცოცხლებას, ხალხის წიაღში შემონახული სიმღერების, ცეკვების სცენაზე გამოტანას, ანსამბლების რეპერტუარში დამკვიდრებას ითხოვდნენ. ჩემთან ერთად ამ საპატიო საქმეს ეჭიდებოდნენ ბინალ ფუტკარაძე, ალიოსმან დავითაძე, ნოდარ ფევაძე, აბესალომ ფუტკარაძე, ოთარ გოგიტიძე, ზაბით ჭაღალიძე, დავით ტაკიძე.

- ამ წამოწყებამ რა შედეგი გამოიღო?

- ჯერ კიდევ წინა საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში შუახევის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი რესპუბლიკური ფესტივალის ლაურეატი გახდა, რაც თითოეულმა ჩვენგანმა გაწეული შრომის ნაყოფად მივიჩნიეთ. შემდეგ უცხოეთში, კერძოდ, რუმინეთის რესპუბლიკაში გავხდით ფესტივალის ლაურეატები. მას შემდეგ, როგორც სიმღერისა და ცეკვის ანსამბლების აკომპანიატორმა, მსოფლიოს 10-ზე მეტი ქვეყანა შემოვიარე. ვიზსა და ჭიგოსავით ერთმანეთს «შეეკარით» მე და აკორდეონი, რომელსაც ცნობილი ოსტატები მიმზადებენ.

- «განდაგანა» 60-მდე ვარიანტს ითვლის. როგორ შეძელით მუსიკის მორგება ინდივიდუალურ შემსრულებლებზე?

- აჭარის მთიანეთში, თუნდაც შუახევში, მუხამედ ართმელაძის, ალი მახარაძის, დავით მჟავანაძის, მამია ჭაღალიძის, ხასან შარაშიძის, ტარიელ კაკალაძის, იოსებ დიასამიძის, არჩილ აბაშიძის სახით, «განდაგანის» უბადლო შემსრულებლები გვყავდა. იოლი არ იყო მათ მუხლთატეხაზე მუსიკის მორგება. ქართული ფოლკლორის დიდოსტატმა აწზორ ერქომაიშვილმა, როცა შუახევში პირველად ჩამოვიდა ფოლკლორული ნიმუშების ჩასაწერად და მუხამედ ართმელაძის «განდაგანა» მასზე შეხამებული მუსიკით ნახა, აღტაცება ვერ დაფარა. იმ დღიდან დაიწყო ჩემი აღიარება. თბილისში, ერთ-ერთ ფესტივალზე, «აჭარული ქორწილის» იმიტაცია წარვადგინეთ მუსიკის თანხლებით, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა. დიდი პატივი და ბედნიერებაა, როცა ადრე ანზორ ერქომაიშვილი, ზურაბ ხაბაძე, ზაურ ლაზიშვილი, ახლა გიორგი უშიკიშვილი, გიორგი დონაძე, ნანა ვანიშვილი, ეთერ თათარაიძე კარგ აკომპანიატორად გთვლიან.

- 15 წელზე მეტია შუახევის კულტურის ცენტრთან არსებულ უხუცესთა ქორეოგრაფიულ ანსამბლ «ფესვების» აკომპანიატორი ხართ...

- 80 წელი ცხოვრების საკმაო დროა. სამი ქალიშვილისა და ერთი ვაჟის გამზრდელს, შვილიშვილების, შვილთაშვილების მომსწრეს, ერთი დღე უშრომელად არ მიცხოვრია. მწირი ხელფასი, სოფლის ცხოვრება გახდა მიზეზი, რომ ხელოვნებას ჩამოვშორებოდი, თუმცა... გამოჩნდა ადამიანი, რომელიც ეროვნულ ფოლკლორზე, კუთხისთვის დამახასიათებელ ცეკვა-სიმღერებზეა შეყვარებული და მათი გამოცოცხლება-გამომზეურებისთვის თავს არ ზოგავს. რომ არა ბადრი დარჩიძე, მისი მიზანსწრაფვა, ანსამბლში ჩემი თაობის ადამიანების ჩართვა, უკვე ფანდური კედელზე მექნებოდა ჩამოკიდებული და აკორდეონიც სამუზეუმო ექსპონატად იქცეოდა. ბადრიმ გამოგვაცოცხლა, ხანდაზმულებს ასაკი დაგვავიწყა. ნინოობაზე წელიწადში ორჯერ, ნინოწმინდაში ჩავდიოდით, მეზობელ თურქეთში 1993 წლის ივნისიდან მოყოლებული თითქმის 10-ჯერ გვქონდა გასტროლი, გალათასარაის საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატიც გავხდით... აღარ გვყავს «ფესვებში» «ჰიდაინანოს» უბადლო შემსრულებელი ტარიელ მაკარაძე, კოვიდს ემსხვერპლა მამის - მამია ჭაღალიძის ილეთების შემსრულებელი ოთარ ჭაღალიძე, ავარიას, რამდენიმეწლიანი ავადმყოფობის შემდეგ, შეეწირა დავით მჟავანაძე... მამების გზას აგრძელებენ, მათ ილეთებს აცოცხლებენ ნოდარ დავითაძე, მიხეილ კაკალაძე, რამაზ ართმელაძე. ახალი ილეთებით გაამდიდრეს «ფესვების» რეპერტუარი მიხეილ მელიქიშვილმა, ლევან ფუტკარაძემ, დავით მაკარაძემ, მიხეილ ფუტკარაძემ, ნიაზ ქარცივაძემ, თამაზ ბერიძემ, ზვიად ბოლქვაძემ, მუხრან დარჩიძემ, ნანული გოგიტიძემ, რუსუდან დარჩიძემ, თამარ მიქელაძემ, სხვებმა. თითებიც ძველებურად აღარ მემორჩილება, მაგრამ სცენის მტვერს ვერ შეველიე. ერთი სული მაქვს, როდის დასრულდება შუახევის კულტურის სახლის რემონტი, რომ «ფესვებთან» ერთად ახალ სცენაზე დავდგე.

- სამეგობრო, მეზობლები გამორჩეულად გაქებენ...

- 80 წლის ადამიანისთვის მეგობარი და მეზობელი ყველაზე ძვირფასია. ბავშვობის დროინდელი მეგობრები თანდათან ხელიდან მეცლებიან, რასაც მტკივნეულად განვიცდი. საუკეთესო მეზობლები მყავს. მეუღლე ნაზი აბაშიძე-ივანაძე ხშირად ავადმყოფობს. მე ხან სად ვარ და ხან სად. მეზობლები ერთი წუთითაც ყურადღებისა და თანადგომის გარეშე არ ტოვებენ. რასაც დასთეს, იმას მოიმკი. 70 წელია მეზობლების სამსახურში ვარ. სოფელი კაცს ამაგს ყველაზე უკეთ უფასებს.

- «ფესვები» მაყურებელს რა სიახლეს ჰპირდება?

- ქართული კულტურის ქომაგების დიდი მოწონება დაიმსახურა ჩვენმა «ლაზარიობამ». ამ დადგმას წარვადგენთ ფოლკლორული და ქორეოგრაფიული ანსამბლების რესპუბლიკურ ფესტივალზე, სამთავრობო ღონისძიებებზე. ცეკვა-სიმღერაზე მუსიკის შეხამებას ორ თვეზე მეტი დრო შევალიე. საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ცენტრის წამყვანმა სპეციალისტმა, ქორეოგრაფმა უჩა დვალიშვილმა ამ დადგმას ქართული ფოლკლორის სიახლე უწოდა. მას მაყურებელი «შუახევობის» წლევანდელ დღესასწაულზე ნახავს, რომელიც სავარაუდოდ, ნოემბრის ბოლოს გაიმართება.

- თქვენი სურვილები, წინადადებები...

- პირველ რიგში, მადლობა თქვენს გაზეთს, რომ ჩემი საიუბილეო თარიღი საზოგადოებას შეახსენა. ადამიანი ასაკში რომ შედის, მეტი მოფერება, გაწეული შრომის დაფასება სჭირდება. პატივდებულ, ღვაწლმოსილ ადამიანებს თბილისში, მშობლიურ ქალაქებში ვარსკვლავებს უხსნიან, გარდაცვალების შემდეგ საცხოვრებელ სახლებზე მემორიალურ დაფებს კიდებენ, რაც შუახევში საერთოდ მივიწყებულია. მხოლოდ შუახევის საკრებულოს ხელმძღვანელობას გავახსენდი და 80 წლის იუბილე მადლობის ბარათით მომილოცა. ადრე საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკის, აჭარის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდებები იყო. მათი აღდგენა უპრიანი იქნება. ძალიან მწირია კულტურის სფეროში დასაქმებულთა ხელფასი. «ფესვების» წევრთა ხელფასი მთიან რეგიონებში დაწესებული საპენსიო ანაზღაურების ტოლიც არაა. განსხვავება უნდა იყოს პენსიების გაცემაშიც. ადამიანს, ქვა ქვაზე რომ არ დაუდვია და იმასაც, რომელმაც მთელი ცხოვრება შრომაში გაატარა, ერთნაირი პენსია არ უნდა ჰქონდეს. ე. წ. დაგროვებითი პენსია ჩემი ასაკის ადამიანებს სასიკეთოდ ვერ წაადგება. კიდევ კარგი, რომ კულტურისა და განათლების სისტემაში დასაქმებულებს, პენსიისა და ხელფასის ერთად მიღებას არ გვიზღუდავენ. მუსიკა, რომელიც შუახევში დავანებული «განდაგანის» ილეთებს შევუხამე, ჩემია და მას სხვას ვერ დავუთმობ. არადა, დღეს ზოგიერთი სხვისი ნაშრომის მითვისებას ცდილობს და ზოგს კიდეც გამოუვიდა. ნაპრალს თუ არ მიხედე, მალე ღრმა ხევად იქცევა, დანით საჭრელი ცულით საჩეხი გაგვიხდება. სჯობს სიმართლე დროზე ითქვას.

> *„ადრე საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკის, აჭარის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდებები იყო. მათი აღდგენა უპრიანი იქნება. ძალიან მწირია კულტურის სფეროში დასაქმებულთა ხელფასი. «ფესვების» წევრთა ხელფასი მთიან რეგიონებში დაწესებული საპენსიო ანაზღაურების ტოლიც არაა*

ფრიდონ სირაბიძის ახალმოსახლეობა

უკვე რამდენიმე წელია ქედის მუნიციპალიტეტში „ძველი სახლის ახლით შეცვლის“ პროგრამა მოქმედებს, რომლის სიკეთე ათობით სოციალურად დაუცველი ოჯახის მომავალზე აისახა

წელს პროგრამის ფარგლებში 3 სახლი შენდება. მათ შორისაა ფრიდონ სირაბიძის სახლიც.

ქედის მუნიციპალიტეტის მერი როლანდ ბერიძე სოფელ სირაბიძეებში ფრიდონ სირაბიძის საცხოვრებელი სახლის სამშენებლო სამუშაოებით დაინტერესდა. ერთსართულიანი სახლი უკვე დასრულებულია და მიმდინარეობს შიდასარემონტო სამუშაოები.

ფრიდონ სირაბიძის ხუთსულიან ოჯახს ახალი საცხოვრებელი სახლი ნოემბრის ბოლოს გადაეცემა.

სამშენებლო სამუშაოებს შპს „მშენებელი 2016“ ასრულებს.

„ძველი სახლის ახლით შეცვლის“ პროგრამა მომავალ წელსაც გაგრძელდება.

მთებიც ნათდება

ბოლო წლებში აჭარა-შავშეთის, მესხეთის ქედების კალთებზე არსებულ იაილებში დენი გაჭყავთ

ხულოს მუნიციპალიტეტის მერია ამჟამად ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში, ბეღლეთის იაილაში, ტიალიფერდის, აივაზაჭოლოს და ბერიჭოლოს მთებში ელექტროგადამცემი ქსელის მოწყობის სამუშაოებს ახორციელებს.

პროექტი მოიცავს 15 კილომეტრი სიგრძის 0.4 კილოვატი და 10 კილოვატი ელექტროგადამცემი ხაზების მოწყობას, ორი ახალი ტრანსფორმატორის მონტაჟს და ამდენივეს შეკეთებას.

პროექტის განხორციელების შემდეგ, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება ელექტროენერგიის მიწოდება მთებში, ელექტროგადამცემი ხაზების რეაბილიტაცია უკვე დასრულდა მთა ზოტიყელში.

ხულოს მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ ბერიძე მიმდინარე სამუშაოებს გაეცნო.

ღვინის ეტიკეტების გამოფენა

ხარიტონ ახვლედიანის მუზეუმის საცავებში დაცული XX საუკუნის დასაწყისის ღვინის ეტიკეტების გამოფენა გაიმართა. საინტერესოა იმ ღვინოების ჩამონათვალი, რომლებიც იწარმოებოდა და იყიდებოდა ადგილობრივ საწყობებსა თუ სარდაფებში. მათ შორისაა: „შიკარნოე“, „მადერა“, „პორტვეინი“, „უნივერსალი“, „მუსკატი“, „საზანო“, „რეკორდი“, „ძმობა“ და ა.შ.

ასევე საინტერესოა დღემდე მოქმედი საგვარეულო ღვინის ბრენდის „დანელია და კომპანიას“ ეტიკეტები, რომელიც პირველად 1907 წელს დაპატენტდა. დანელიების ღვინის საგვარეულო (საეკლესიო) ტექნოლოგიას, რომელშიც გამოიყენება თაფლი და ფუტკრის ფიჭა, მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი. მათთან ერთად გამოიფინა აჭარის თანამედროვე მეღვინეთა საფირმო ეტიკეტები.

გვერდი მოამზადა
ოთარ ცინარიძემ

ნიაზ ზოსიძე - ჩვენებურების სევდითა და სიხარულით სავსე

ნანა აბულაძე 577 20 35 90

გაზეთ „აჭარის“ სტუმარი პროფესორი და მწერალი ***ნიაზ ზოსიძეა,*** *რომლის მოყოლილი ამბები განსაკუთრებულ ემოციებს აღძრავს თითოეულ ადამიანში. კითხულობ მის შემოქმედებას და ხვდები, რომ საქმე გაქვს სიტყვის საოცარ მომშინაურებელთან, რომელსაც მზად ხარ, დაუსრულებლად დაემგზავრო მზისფერ სასიტყვეთში.*



- წერთ არა მხოლოდ საქართველოში მცხოვრებ, არამედ საზღვარს მიღმა მყოფ ქართველებზე, ჩვენებურებზე. მოგვიყევით, როგორ უყვართ, შეინარჩუნეს და უფრთხილდებიან ქართულ ენასა და ადათ-წესებს.

- თურქეთის ასზე მეტი სოფელი მოვიარე, სადაც მუჰაჯირთა შთამომავლები ცხოვრობენ. სანუკვარი ნატვრაც ავიხდინე და შაჰ-აბასის მიერ ოთხასი წლის წინ ირანში გადასახლებულთა შთამომავლებს ჩავაკითხე ფერეიდანში... ყველაფერი ეს წიგნებში: „ნეტაი, ადრე მოსულიყავით“, „ცრემლს ნუ გამატან“, „გომარჯოს ფერეიდანს“ მოვაქციე... განსაკუთრებულები არიან ჩვენებურები, ახლაც რომ შენარჩუნებული აქვთ ენა, თვითმყოფადობა, ტრადიციები, ფოლკლორი, ისტორიული მეხსიერება... მათი მთავარი შეგონება და ერთგვარი ფორმულაა: „თუ გურჯიჯა არ იცი, რაღაის ქართველი ხარ!“.

- როცა წერთ...

- წერის პროცესი ტანჯვასაც, ნეტარებასაც, სულის ამაღლებასაც და ზოგჯერ - გამოფიტვასაც ჰგავს...

- თქვენი ერთი წიგნის სათაურის მსგავსად, ადრე რომ მოსულიყავით, რას შეცვლიდით...

- ადრე მოსულიყავითო, თურქეთის ერთ-ერთ ულამაზეს სოფელში მცხოვრებმა ასს მიახლოებულმა ასიე დოქსანემ მითხრა. ახლა გვიანია, ასაკი მომერია, ბევრი რამე დამავიწყდა, არადა, იმდენი რამე ვიცოდი, მიწაში წასაღებად მებრალებაო... ამ ქალბატონმა თურქული საერთოდ არ იცოდა, თავისი სოფლის გარდა, სხვაგან ნამყოფი არ იყო და სხვა ენა არ დასჭირვებია... ასეა, სადღაც სულ ვაგვიანებთ, გვავიწყდება, რომ: „სიკვდილი სამსახურში ყოველთვის ადრე ცხადდება“, ამიტომ უნდა მოვასწროთ ყველა სიკეთე, სიყვარული და აღმაფრენა.

- ქალაქი, რომელშიც ცხოვრობთ...

- ბათუმი სხვა ფენომენია, ბათუმს არც სიყვარულში და არც სილამაზეში ბადალი არ ჰყავს. იქნებ ვინმემ იცის კიდევ დედამიწის ზურგზე სხვა ასეთი პატარა მიწის ნაგლეჯი, სადაც 80 ეროვნების ხალხი ცხოვრობს?! ვფიქრობ, არა.

- რა გსურთ ყველაზე მეტად?

- უპირველესი სურვილი სამშობლოს გამთლიანება, ხერხემალში გასწორება, გაბევრება-გამრავლებაა...

- ვინ არის ნიაზ ზოსიძე?

- მე უფრო მოგზაური კაცი ვარ, არავინ იცის, ხვალ სად ვიქნები და საიდან მოგაწვდით ხმას, მაგრამ ეს ხმა აუცილებლად იქნება სიყვარულით სავსე...

ციტრუსის საკოორდინაციო შტაბი - მანდარინის სუბსიდირებაზე

ციტრუსის საკოორდინაციო შტაბის ხელმძღვანელმა ირაკლი ონიანმა „ბიზნესპრესნიუსს“ განუცხადა, რომწ ელს ბიუჯეტი ციტრუსის არასტანდარტულ ნაყოფს 10-ის ნაცვლად 15 თეთრით დაასუბსიდირებს, რაოდენობა კი შეზღუდული არ იქნება. მისი თქმით, სავარაუდოდ, არასტანდარტული ნაყოფი მთლიანი მოსავლის 15-20% იქნება.

„გასულ წლებში აჭარაში ოპერირებდა ორი გადამამუშავებელი ქარხანა, რომელიც ამუშავებს არასტანდარტულ ციტრუსის ნაყოფს. ამ ეტაპზე ერთთან დაკონტრაქტება ბოლო ეტაპზეა, მეორეს კი ტექნიკური პრობლემები აქვს და არ ვიცით, შეძლებენ თუ ვერა დროულად მოგვარებას.

რაც შეეხება სუბსიდირების ნაწილს, იანვრიდან სუბსიდირების ნაწილი გაზრდილია და, 10 თეთრის ნაცვლად, წარმოების 15 თეთრი სუბსიდირდება. შესაბამისად, საწარმო მინიმუმ 20 თეთრს გადაუხდის ფერმერს, რომელიც არასტანდარტულ მანდარინს ჩაბარებს. რა დაუჯდება ჯამურად ბიუჯეტს სუბსიდირება, დამოკიდებულია შემოსულ ნაყოფზე, ჩვენ არასტანდარტულ ნაყოფს მთლიანი მოსავლის 15-20%-ს ველოდებით. ჩვენ მზად ვართ, რამდენიც იქნება საჭირო, იმდენი გამოვყოთ სარეზერვო ფონდებიდან არასტანდარტული ნაყოფის სუბსიდირებისთვის, რათა ჩაბარებას არ შეექმნას პრობლემა“, - განაცხადა ონიანმა.

ცნობისთვის: აჭარის მთავრობის გადაწყვეტილებით, არასტანდარტულ მანდარინზე სუბსიდია გაიცემა. სახელმწიფოს მხრიდან 1 კგ სამრეწველო მანდარინზე 15-თეთრიანი თანადაფინანსება იქნება, 5 თეთრს კი საწარმო გადაიხდის, შესაბამისად, ფასი 20 თეთრი იქნება.

ამირან გურიელიძე

თურქმენული გაზი ევროპას... საქართველოზე გავლით?

TACC-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ სამხრეთ და ცენტრალური აზიის საკითხთა ბიუროში დონალდ ლუმ აშხაბადში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, რომ შეერთებული შტატები თურქმენეთს ევროპისთვის გაზის მიწოდებაში დაეხმარება.

ლუს თქმით, შეერთებული შტატები, საკუთარი ჭარბი მარაგის გამო, თურქმენულ გაზს არ იყიდის, თუმცა მზად არის, ევროპაში მის ექსპორტს ხელი შეუწყოს. ამ მიზნით ამერიკელი დიპლომატი ოფიციალურ აშხაბადს ტრანსანატოლიის გაზსადენის გამოყენებას სთავაზობს, რომელიც გაზის სამხრეთ დერეფნის პროექტის ნაწილია და ევროპაში აზერბაიჯანული გაზის ტრანსპორტირებას ეწევა.

დონალდ ლუ აცხადებს, რომ ამერიკის ხელისუფლება თურქმენეთის ეკონომიკას, USAID-ისა და სხვა პარტნიორების მეშვეობით, ყოველწლიურად, დაახლოებით, 7 მლნ დოლარის ფინანსურ დახმარებას უწევს.

ამირან გურიელიძე

წელის ტკივილი - მიზეზები, მკურნალობა

ქეთევან კილაძე 593 73 45 74

ტკივილი კბილის, თავის, წელის... იშვიათია ადამიანი, ამ სახის ტკივილები არ განეცადოს თუნდაც ერთ-ორჯერ ცხოვრებაში. დღეს წელის ტკივილზე ვისაუბროთ, რომელიც ხშირი ჩივილია (ზრდასრული მოსახლეობის 90%-ში) დღევანდელ სინამდვილეში პროფესიული ფაქტორების თუ უმოძრაო ცხოვრების წესის გამო. ასევე, არცთუ იშვიათად, წელის ტკივილი რომელიმე დაავადების ნიშანიც შეიძლება იყოს

ადამიანის საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის მთავარი ნაწილი ხერხემალია, რომელიც ერთმანეთთან სახსრებითა და იოგებით დაკავშირებული 33 მალისაგან შედგება. სხეულის ნებისმიერი მოძრაობა და პოზიცია სწორედ მასზეა დამოკიდებული. ასევე, ხერხემალი იცავს დაზიანებისგან მასში მოთავსებულ ზურგის ტვინს. ძლიერი კუნთები და ძვლები, მოქნილი მყესები და მგრძნობიარე ნერვები ხერხემლის სიჯანსაღეს განაპირობებს, ხოლო რომელიმე ამ სტრუქტურის გადაძაბვა, ტრავმა ან დაავადება ტკივილს იწვევს.

წელის ტკივილში იგულისხმება ზურგის ქვედა ნაწილი და ხერხემლის სვეტის წელის სეგმენტის 5 მალა (L1- L5), სხეულის მასის დატვირთვის დიდი წილი სწორედ მასზე მოდის.

წელის ტკივილს უმეტესად 30-50 წლამდე ასაკის ადამიანები უჩივიან. ასაკის მატებასთან ერთად ხერხემლის მალებს შორის არსებული სითხე (მოძრაობისას ხახუნს ამცირებს) იკლებს და დისკები ღიზიანდება. მცირდება კუნთების ტონუსიც, რაც ზურგის დაზიანების რისკს ზრდის.

წელის ტკივილი შეიძლება იყოს მწვავე, ქვემწვავე და ქრონიკულიც. პირველი - რამდენიმე დღიდან რამდენიმე კვირამდე გრძელდება, მეორე - 4-12 კვირა, ხოლო მესამე შეიძლება 12 კვირასა და მეტსაც გაგრძელდეს.

წელის ტკივილის ყველაზე ხშირი მიზეზია ზურგის კუნთებისა და მყესების დაჭიმულობა, ხერხემლის და ორგანული პათოლოგიები.

ზურგის კუნთები და მყესები შეიძლება დაიჭიმოს მძიმე ტვირთის აწევის, უხეში მოძრაობის, ერთ პოზაში დიდხანს ყოფნის შემდეგ. დამახასიათებელია ტკივილის უეცარი წარმოშობა.

მალთაშუა დისკოები ხერხემლის მალებს შორის მდებარეობს და ამორტიზატორის ფუნქციას ასრულებს. მათ გამოვარდნას (მალთაშუა თიაქარი) და გახეთქვას ტკივილი ახლავს. გამოვარდნილი დისკო აწვება ზურგის ტვინის ნერვებს, ხშირად - საჯდომ ნერვს, რომელიც ქვემო კიდურებს კურირებს, რაც იწვევს წელის, ქვედა კიდურების და ტერფების ტკივილს.

რადიკულოპათია ზურგის ტვინის ნერვების დაზიანებაა ანთებითი პროცესის, ზეწოლის ან ტრავმის შედეგად.

ხერხემლის სტენოზის (შევიწროების) შედეგად ზურგის ტვინი და ნერვები ზეწოლას განიცდის, რაც იწვევს ტკივილს და დაბუჟების შეგრძნებას სიარულის დროს, მოგვიანებით კი ქვედა კიდურების სისუსტეს და მგრძნობელობის დაკარგვას.

სკოლიოზი, ლორდოზი და კიფოზი თანდაყოლილი (იშვიათად - შეძენილი) პათოლოგიებია, რომლებიც ხერხემლის გამრუდებას იწვევს. ისინი უმეტესად მოზარდობის ასაკში ვლინდება. გამრუდებული ხერხემალი ზრდის ზეწოლას კუნთებზე, მყესებსა და მალებზე, რაც იწვევს ტკივილს.

წელის ტკივილის შედარებითი იშვიათი მიზეზებია: ართრიტი; ფიბრომიალგია (სახსრების, კუნთებისა და მყესების გახანგრძლივებული ტკივილი და დაჭიმულობა); სპონდილიტი (ხერხემლის მალებს შორის არსებული სახსრის ანთება); სპონდილოზი (ხერხემლის დეგენერაციული დაავადება, რომელიც მის სტრუქტურასა და ფუნქციას არღვევს); ოსტეოპოროზი (ძვლების მეტაბოლური დაავადება, მიმდინარეობს ძვლების მასისა და სიმკვრივის შემცირებით); თირკმლისა და შარდის ბუშტის პათოლოგიები; ორსულობა; ენდომეტრიოზი; საკვერცხის კისტა; საშვილოსნოს კიბო; სიმსივნე; ინფექციური პროცესები...



წელის ტკივილის განვითარების ალბათობას ზრდის: ასაკი (30-50), ასაკის მატებასთან ერთად ძვალი იფიტება და ადვილად ტყდება. მცირდება კუნთთა ტონუსი და ელასტიკურობა. მალთაშუა დისკო შრება და მოქნილობას კარგავს, ამორტიზატორის ფუნქციას ვეღარ ასრულებს. ხერხემლის სტენოზიც ასაკთან ერთად ვითარდება; ცხოვრების უმოძრაო წესი; ყოველდღიური ზომიერი ფიზიკური აქტიურობა აუცილებელია; ორსულობა - წელის ტკივილს იწვევს მენჯის ცვლილება და წონის მატება, მშობიარობის შემდეგ თავისთავად გაივლის; ჭარბი წონა; გენეტიკა (მაგ. მაანკილოზებელი სპონდილიტი); პროფესია - ძლიერი ფიზიკური დატვირთავა ან ერთ პოზაში ხანგრძლივად ჯდომა/დგომა; მძიმე ზურგჩანთა - იგი არ უნდა აღემატებოდეს ბავშვის სხეულის მასის 15-20%-ს.

გასინჯვით ადგენენ ტკივილის ლოკალიზაციას, ინტენსიობას და ხასიათს. ამოწმებენ რეფლექსებს და მგრძნობელობას ნერვის დაზიანების გამოსავლენად. თუ სიმპტომები სუსტადაა გამოხატული, ექიმი თავიდანვე არ ნიშნავს მაღალტექნოლოგიურ გამოკვლევებს, რადგან ტკივილს ხშირად მარტივი მკურნალობაც შველის. თუ ტკივილს ახლავს სისუსტე, ცხელება, წონის კარგვა, ტარდება რენტგენოგრაფია, კომპიუტერული ტომოგრაფია, ულტრაბგერითი კვლევა, მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია. კუნთების პათოლოგიაზე ეჭვის შემთხვევაში ტარდება ელეტრომიოგრაფია, ხოლო ნერვის დაზიანებისას მოწმდება ნერვში ელექტრული სიგნალების გადაცემის სიჩქარე.

კუნთების დაჭიმულობით გამოწვეული წელის ტკივილი თავისთავად გაივლის. ტკივილს ამცირებს წელზე თბილი საფენები, თბილი აბაზანა, იბუპროფენი, აცეტამინოფინი... ხერხემლის ტრავმული დაზიანებისას პირველ 24-48 საათში კარგია ჯერ ცივი, მერე თბილი საფენები, ყინული შეამცირებს შეშუპებას, კუნთების სპაზმს და ტკივილს. თბილი საფენი კი მტკივნეულ ადგილს გაათბობს და მოადუნებს.

სიმპტომების და გამომწვევი მიზეზების გათვალისწინებით, ინიშნება ტკივილგამაყუჩებლები (არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო საშუალებები), მიორელაქსანტები, ნარკოტიკული საშუალებები, სტეროიდები.

ზოგჯერ საჭიროა ფიზიკური თერაპიაც, კუნთების რელაქსაციით სტრესული მდგომარეობის შესუსტება (ბიოფიდბექთერაპია, ბიოფსიფიკაცია). რთულ შემთხვევაში ქირურგიული ჩარევა ხდება აუცილებელი.

პრევენციის თვალსაზრისით, მოერიდეთ სიმძიმის აწევას, ივარჯიშეთ ზომიერად, იჯექით საზურგიან სკამზე, იარეთ ფეხით, ნუ ჩაიცვამთ მაღალქუსლიან ფეხსაცმელს, მოერიდეთ ნიკოტინს, იკვებეთ ზომიერად, ერიდეთ ჭარბ წონას.

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჭარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბალდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ფეროვნის ქ. №2ᵃ
ტელ: 27-13-31
აინწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 7/11/22, 20 ⁴⁰ სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

ბათუმის მეორე საერთაშორისო კინოფესტივალი „LEMON“ იწყება

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

კინოფესტივალი „LemON“ ბათუმელ მაყურებელს 6 დღის განმავლობაში უმასპინძლებს. იგი 23 ნოემბერს დაიწყება, საზეიმო დახურვა-დაჯილდოების ცერემონია კი 28 ნოემბერს გაიმართება. კონკურსში მონაწილეობას 25 ქვეყნიდან 45 კონკურსანტი მიიღებს. ორგანიზებას ა(ა)იპ „საზოგადოება ლიმონარიუმი“ უზრუნველყოფს.

კინოფესტივალის შესახებ მისი ერთ-ერთი დამფუძნებელი ***მამუკა ჯორბენაძე*** *გვესაუბრება.*

- ბატონო მამუკა, რა გეგმები გაქვთ წელს, როგორ ემზადებით ფესტივალისთვის?

- პირველივე წელიწადი წარმატებული იყო, საზოგადოებამ დიდი ინტერესით და სიყვარულით მიიღო ახალგაზრდული ფესტივალი, განსაკუთრებით, ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის სტუდენტებმა, რომელთა ნაწილი კონკურსში მონაწილეობდა ან აქტიურად იყო ჩართული ფესტივალის მომზადების პროცესში. უფრო მეტი ნაწილი აქტიურად გულშემატკივრობდა ფესტივალს. კინოწრეებშიც დადებითად შეხვდნენ ახალ ფესტივალს, მოიწონეს ჩვენი საკონკურსო

პროგრამა, რომელიც საკმაოდ ძლიერი ფილმებით იყო წარმოდგენილი. ფესტივალის საკონკურსო პროგრამაში ჩართვის მხრივ ძალიან მაღალი იყო კურსდამთავრებულთა აქტივობა. შესაბამისად, მივიღეთ გადაწყვეტილება, ფესტივალზე დაგვემატებინა კიდევ ერთი საკონკურსო სექცია. ასე რომ, თუ პირველი ფესტივალი წარმოდგენილი იყო მხოლოდ სტუდენტური ფილმების კონკურსით, წელს დაემატა სადებიუტო ფილმების (კურსდამთავრებულთათვის) კონკურსი. ფესტივალის მზადების პროცესი აქტიურ ფაზაშია. სტარტს აიღებს 23 ნოემბერს, გაგრძელდება ექვსი დღე და ფესტივალის საზეიმო დახურვა/დაჯილდოების ცერემონია გაიმართება 28 ნოემბერს.

- ვინ არის ჩართული ფესტივალის ორგანიზებაში?

- „LemON“-ის ორგანიზება-ჩატარებას უზრუნველყოფს ა(ა)იპ „საზოგადოება ლიმონარიუმი“. კერძოდ, ფესტივალის დამფუძნებლები, ფესტივალის დირექცია: გიორგი გოგიბერიძე, ირაკლი კიკვაძე, მამუკა ჩხიკვაძე, მამუკა ჯორბენაძე. ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი. ფესტივალის ორგანიზებაში უმნიშვნელოვანესი წვლილი შეაქვთ ფესტივალის მენეჯმენტის ახალგაზრდულ ფრთას: ნანა ხოფერიას, დავით გვიანიძეს, ანი ნინიძეს, დავით ტაკიძეს. ფესტივალში მოხალისეებად ჩართულნი არიან ბხსუ-ის სტუდენტები. განსაკუთრებით აღსანიშნავია პროექტის ფარგლებში აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, ბათუმის მერიის, საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის ფინანსური მხარდაჭერა, რომლის გარეშეც ფესტივალი ვერ განხორციელდებოდა.

- რომელი ქვეყნები მონაწილეობენ?

- კინოფესტივალის კონკურსებში მონაწილეობს 45 კონკურსანტი 25 ქვეყნიდან: საქართველო, უკრაინა, დანია, გერმანია, შვედეთი, ამერიკა, კოლუმბია, ხორვატია-სერბეთი, საფრანგეთი, ჩილე, იემენი, ბრაზილია, რუმინეთი, მექსიკა, თურქეთი, მაროკო, სენეგალი, ტაივანი, ირანი, იაპონია, სერბეთი, ჰონ-კონგი, უნგრეთი, ყაზახეთი. საქართველოდან სადებიუტო და სტუდენტური ფილმების კონკურსებში ბათუმის ხელოვნების და შოთა რუსთაველის თეატრის და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტების სტუდენტები და კურსდამთავრებულები მონაწილეობენ.

- რა უანრის და რამდენ ფილმს იხილავს მაყურებელი?

- ფესტივალზე წარმოდგენილია მოკლემეტრაჟიანი მხატვრული, დოკუმენტური, ექსპერიმენტული კინო, ანიმაციური ფილმები. ორი საკონკურსო სექციაა: სტუდენტური და სადებიუტო ფილმების, კონკურსებში მონაწილეობს: 20 სტუდენტური საკონკურსო ფილმი და 25 სადებიუტო საკონკურსო ფილმი.

- სიახლე ხომ არ შეგიტანიათ ფესტივალში? წინა წელთან შედარებით რითი იქნება განსხვავებული?

- ძირითადი სიახლე, რა თქმა უნდა, სადებიუტო ფილმების კონკურსის დამატებაა. ეს მნიშვნელოვანია, პირველ რიგში, ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთათვის. ჩვენი ფესტივალი ახალგაზრდებს ფართო ასპარეზზე გასვლის ძალიან კარგ საშუალებას აძლევს. ისინი შეძლებენ, თავიანთი შემოქმედება გააცნონ საერთაშორისო კინოსაზოგადოებას.

- როგორი მოლოდინი გაქვთ?

- ორივე საკონკურსო სექციაში საკმაოდ ძლიერი ფილმებია თავმოყრილი. თუ გადახედავთ კონკურსში მონაწილე ქვეყნებს, ნათელი ხდება, რამდენად მრავალფეროვანი პროგრამაა წარმოდგენილი მსოფლმხედველობის, კულტურული განსხვავებულობის თვალსაზრისით. მით უმეტეს, რომ ეს ფილმები არ არის მეინსტრიმული, ვესტერნიზებული. ახალგაზრდა ხელოვანთა ინსპირაციის წყარო

მათი სოციალური გამოცდილებაა, წარსული და დღევანდელობა, კულტურა და ტრადიცია, მათი ემოციები, რეფლექსია და დამოკიდებულება გარე სამყაროსთან. ექვსი დღის განმავლობაში მაყურებელს მიეცემა საშუალება, დაესწროს საკონკურსო კინოჩვენებებს და საკუთარი თვალით იხილონ 25 ქვეყნიდან 45 კონკურსანტის საკმაოდ საინტერესო ფილმები. აქვე აღვნიშნავ, ფესტივალის ფარგლებში მოწვეულია მაღალკვალიფიციური ჟიური (სტუდენტური ფილმების კონკურსის ჟიური; სადებიუტო ფილმების კონკურსის ჟიური), რომლებიც კინოხელოვნებით დაინტერესებულთათვის ჩაატარებს მასტერკლასებს.

- სამომავლოდ რას გეგმავთ?

- ჩვენი სამომავლო გეგმები გულისხმობს კინოფესტივალის „LemON" ყოველწლიურად ჩატარებას, მისი ცნობადობის გაზრდას საერთაშორისო ასპარეზზე. ამ ეტაპზე ფესტივალის კონკურსანტების რაოდენობა და საკონკურსო ფილმების ხარისხი და მრავალფეროვნება ფესტივალის დირექციის თავდაუზოგავი შრომის და დიდი ძალისხმევის შედეგია. დაინტერესება უკვე არის, მაგრამ ძირითადად, ჩვენ გვიწევს აქტიურობა, კონკურსანტების მოზიდვა და მათი დაინტერესება. დადგება დრო, როცა „LemON“ იმდენად პოპულარული გახდება, რომ კონკურსანტები სხვადასხვა ქვეყნიდან მაღალკონკურენტიან პირობებში თავად ეცდებიან, მოხვდნენ საკონკურსო პროგრამაში. წლიდან წლამდე ფესტივალი უნდა გახდეს უფრო მეტად პრესტიჟული, ცნობადი და სახელოვანი - ეს არის ჩვენი მიზანი. საბოლოოდ ეს ყოველივე ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს. ეს გრძელვადიანი პროექტი კინო-ტელედეპარტამენტის სტუდენტების სამომავლო ზრდა-განვითარების მიზნებს და ამოცანებს ემსახურება.

„მუსიკალური რინგის“ მესამე რაუნდი დეკემბერში გაიმართება

ზიქრია დავლაძე 27 48 93

ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრში კონკურს „მუსიკალური რინგის“ მეორე რაუნდი გაიმართა

მსმენელის წინაშე ირინა ხინიკაძე წარსდგა, რომელმაც 14 ქართული სიმღერა შეასრულა. ირინა ხინიკაძე აღნიშნავს, რომ ხელოვანისთვის მნიშვნელოვანია მსგავს ღონისძიებაში მონაწილეობა. მაყურებლის ემოცია „მუსიკალური რინგის“ დროს ბევრად შესამჩნევია მომღერლისთვის, რაც მონაწილეს მეტ სტიმულსა და შემართებას სძენს. ირინა ხინიკაძე პროფესიით ექიმია, თავისუფალ დროს წერს ლექსებს, მღერის. იგი დიდი მსახიობის, საქართველოს სახალხო არტისტ მურად ხინიკაძის შთამომავალია, მამა კი ბათუმის დრამატული თეატრის რეჟისორი დავით ხინიკაძე გახლავთ.

- ბევრ კონკურსში მიმიღია მონაწილეობა, მაქვს სასცენო გამოცდილება, თუმცა „მუსიკალურ რინგში“ პირველად ვმონაწილეობ. ძალიან ემოციური იყო მაყურებელთან სიახლოვე, ხედავ მათ სახეებს და გრძნობ, ისინი რას ფიქრობენ. ეს დიდი გამოწვევაა ნებისმიერი ხელოვანისთვის. მადლობა მინდა გადავუხადო თითოეულ სტუმარს, ვინც დღეს აქ მობრძანდა, ასევე, მადლობას ვუხდი ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის ადმინისტრაციას იმისათვის, რომ მსგავს ღონისძიებებს სთავაზობს საზოგადოებას. გარდა ამისა, „მუსიკალურ რინგში“ მონაწილეობა დიდი გამოწვევაა როგორც დამწყები მომღერლისთვის, ასევე, უკვე შემდგარი ხელოვანისთვის, - გვითხრა ირინა ხინიკაძემ.

პროექტი ბათუმის მუსიკალური ცენტრის ორგანიზებით ხორციელდება. როგორც ცენტრის ადმინისტრაციაში განაცხადეს, „მუსიკალური რინგის“ მესამე რაუნდი დეკემბერში გაიმართება. ჯაბა სალუქვაძის თქმით, მიზანი ახალბედა მომღერლების პოპულარიზაციაა.

- როგორც ცნობილია, ბათუმის მუსიკალურ ცენტრში იმართება ასეთი საინტერესო მუსიკალური პროექტი. პირველი რაუნდი გაიმართა სექტემბერში, დღეს ჩატარდა მეორე რაუნდი. დღევანდელ ლაივკონცერტზე საკმაოდ ბევრი მაყურებელი გვყავდა, რაც ძალიან სასიხარულოა. ინტერესი გაჩნდა ახალგაზრდა შემსრულებლებისგან. დეკემბრისთვის ვემზადებით კიდევ ერთი ლაივღონისძიებისთვის. დღევანდელი საღამო ბათუმელ არაჩვეულებრივ მომღერლებს ირინა ხინიკაძეს და ვაჟა ტუღუშს დაეთმო, რომელსაც მუსიკალურად აფორმებდნენ მაესტრო ლადო ყატაშვილი და, ასევე, მიხო ბუაძე (დასარტყამი ინსტრუმენტი). შესრულება იყო არაჩვეულებრივი. წელს რინგზე მომღერლებს საშუალება ეძლევათ, თავიანთი თავი წარმოაჩინონ, ხოლო 2023 წლიდან ვაპირებთ, შეჯიბრის სახით გავაკეთოთ წარმოდგენა, სადაც მაყურებელი აქვე შეაფასებს მომღერლების შესაძლებლობებს, - განაცხადა ბათუმის მუსიკალური ცენტრის მთავარმა ადმინისტრატორმა ჯაბა სალუქვაძემ.

„სამარცხვინო ტყუილია იმის თქმა, რომ „ნაპოლის“ კვარას არყოფნა არ ეტყობოდა“

„ნაპოლიმ“ სერია A-ს მე-13 ტურში ბერგამოში ხვიჩა კვარაცხელიას გარეშე ითამაშა და „ატალანტასთან“ მძიმე მატჩში მნიშვნელოვანი 3 ქულა გაიფორმა.

შეხვედრის შემდეგ ლუჩანო სპალეტიმ პრესკონფერენციაზე აღნიშნა, რომ გუნდმა კარგად ითამაშა და, კვარაცხელიას არყოფნის მიუხედავად, მოიგეს. მან განსაკუთრებით ელმაზის თამაში გამოყო.

Corriere dello Sport-ის მიმომხილველმა ალესანდრო ბარბანომ დაწერა, თუ როგორ უჭირს „ნაპოლის“ კვარას გარეშე თამაში. ეს გუნდის მხრიდან ხაზებს შორის მოძრაობის გართულებით გამოიხატება, რასაც ხვიჩა იდეალურად აკეთებს.

„იმის თქმა, რომ ბერგამოში „ნაპოლის“ კვარას არყოფნა არ ეტყობოდა, სამარცხვინო ტყუილია. გამარჯვების მიუხედავად, კვარას არყოფნა მაინც ძალიან იგრძნობოდა.

გულმოდგინედ მოთამაშე ელმაზმა სპალეტის გამარჯვება მოუტანა, შემდეგ კი ფრთხილად იცავდა თავს მარცხენა ფლანგზე, მაგრამ ქართველი ფეხბურთელის წარმოსახვის უნარის გარეშე გუნდისთვის ხაზებს შორის გავლის შესაძლებლობა მცირდება“.

შეგახსენებთ: „ნაპოლი“ სატურნირო ცხრილს 35 ქულით დაუმარცხებლად ლიდერობს. მას 29 ქულით „მილანი“ მოსდევს.

„ნაპოლი“ დღეს, თბილისის დროით 21:30 საათზე, „ემპოლის“ საკუთარ მოედანზე უმასპინძლებს.

ამირან გურიელიძე